# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 217 (6074)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



## „ვინც ნოღაიდელისა და კიწმარიშვილის გაოპოზიციონერობას ირწმუნებს, ის საკუთარ ღირსებაზე ხუჭავს თვალს“ 2



## ვის გაუკვალავს გზას ეს გზა? 4

1. საჭიროა თუ არა ამ ტრასის მშენებლობა მაშინ, როდესაც არსებული გზებით შავ ზღვამდე მისვლა სომხეთისთვის არასოდეს ვისმე დაუშლია?

2. რა დაჯდება სამხრეთ-შავიზღვისპირეთის ტრასა და, შესაბამისად, პორტიც, ვინ განახორციელებს დაბანდებას?

3. ვისი საკუთრება იქნება ეს ტრასა და თუ საქართველოსი არა, რამდენი ხნით იქნება სხვისი, ან რაიმე ჯგუფის მფლობელობაში?

4. სომხეთი რუსეთის ხელქვეითი ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ თუ არა, რომ ეს ტრასა, სხვა ობიექტების მსგავსად, რუსეთის იმპერიის საკუთრება იქნება?

## ტანკები შენ, ჯიპები მეთ?.. 7



## ბიუჯეტის შევსების უახლესი მეთოდი 11



## ევროპა უკან იხევს 8

THE WALL STREET JOURNAL

## ბარაკ ობამა „იმედის შემართება“

ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ამერიკის ახალი პრეზიდენტის, მაშინ სენატორის, ბარაკ ობამას წიგნი „იმედის შემართება“. იგი უმალვე ითარგმნა ევროპის ყველა ენაზე. და ახლა საშუალება გვაქვს შევთავაზოთ მკითხველს რამდენიმე ამონარიდი ამ წიგნიდან.




ბარაკ ობამა განეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომლის სახე ამჟამად არ ჩამოდის გაზეთის ფურცლებიდან და სატელევიზიო ეკრანებიდან. ის არის პიროვნება, რომელსაც ამ დღეებში იმედით შესცქერის მილიონობით ადამიანი.

ყველაფერი, რაც ამერიკაში ხდება, ასე თუ ისე, ძალზე სერიოზულად ახდენს გავლენას პლანეტის თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე. ობამამ თავი წარმოგვიჩინა როგორც სრულიად ახალი ტიპის პოლიტიკურმა ლიდერმა და ხელისუფლებაზე მის შეხედულებებს მთელი მსოფლიო და მათ შორის, საქართველოც შესცქერის დიდი იმედებით, დიდი ცვლილებების მოლოდინით.

ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ბარაკ ობამას ნამდვილად სურს ამერიკის შეცვლა, შეცვალოს მისი ეკონმიკა, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, დაბოლოს, მისი აზროვნების სახე.

და კიდევ, მას იმედი აქვს, აალორძინოს ამერიკული ოცნება.

კრიზისისა და გაწბილების ეპოქაში, რომელსაც ახლა განვიცდით, ობამა პოულობს მარტივ, ადამიანურ და საღ გადაწყვეტილებებს... ეს ნამდვილად დიდ იმედებს გვინერგავს.

ინფორმაცია

## ბარაკ ობამამ სააკაშვილი გაიხსენა

**საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და აშშ-ს ახლად არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას შორის სატელეფონო საუბარი შედგა. საუბარი ბარაკ ობამას ინიციატივით გაიმართა.**

**სატელეფონო საუბრის დამატებითი დეტალები არ ხმაურდება. როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს პრეზიდენტს აშშ-ს მომავალი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც დაუკავშირდა.**

**საქართველოს პრეზიდენტის გარდა ბაიდენი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორს ჰავიერ სოლანას, იტალიის პრემიერს ხოსე ლუი საბატეროს, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და კოლუმბიის პრეზიდენტსაც ესაუბრა.**


მიხეილ სააკაშვილი ბარაკ ობამა

## ტრაგედია სოფელ ფლავში

**გორის რაიონის სოფელ ფლავში მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. დაშავებულები გუშინ თბილისში გადმოიყვანეს. სამი დაზარალებული თვალის კლინიკა „მზერაში“ მოათავსეს.**

რაც შეეხება 10 წლის ალეკო ბიძინაშვილს, ის ამ დრომდე ქვანიას სახელობის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

ექიმების განცხადებით, დაშავებულებს სხეულზე ძლიერი დამწვრობა და მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებათ.

შეგახსენებთ, რომ გორის რაიონის სოფელ ფლავში მომხდარ აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, რვა ადამიანი კი დაშავდა. ეს ტრაგედია რუსული უპილოტო საფრენი აპარატის აფეთქებამ გამოიწვია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პოზიცია

## ნაკისრი ვალდებულებები უთუოდ უნდა შესრულდეს!

**ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის განცხადება საქართველოში ბოლო დროს მომრავლებულ ინციდენტებთან დაკავშირებით**



**ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობა გმობს საქართველოში ინციდენტების მომრავლებას, რომელთა შედეგადაც 10 ნოემბერს გარდაიცვალა ორი ადამიანი დვანში, 15 ნოემბერს რამდენიმე ფახულანში და რომელნიც ხელს უწყობენ სიტუაციის დაძაბვას რეგიონებში. ევროკავშირი სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს.**

საბჭოს თავმჯდომარეობა ასევე შეშფოთებას გამოთქვამს საერთაშორისო დამკვირვებლების უსაფრთხოების გამო, რომელთა სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ დადგა ფახულანში.

იგი ყველა მონაწილე მხარისგან მოითხოვს, შეასრულონ შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და ხაზს უსვამს საერთაშორისო მისიების თანამშრომლების უსაფრთხოების დაუცველობის მიუღებელ ფაქტებს. თავმჯდომარეობა მხარეებს მოუწოდებს, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები და თავიდან აიცილონ ახალი ინციდენტები.

პარიზი, 18 ნოემბერი 2008.

კანონმდებლები



## უნივერსიტეტები შესაძლოა უპროფესოროდ დარჩნენ

**პარლამენტი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებისთვის ასაკობრივი ზღვარის დაწესების საკითხთან არსებულ პრობლემას წლის ბოლომდე მოაგვარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაში არ შევა კანონი, რომლის თანახმად, უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორების ზედა ასაკობრივი ზღვარი 65 წელი იქნება. ეს საკითხი გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გია არსენიშვილმა დააყენა.**

მისი თქმით, თუ 2009 წლიდან ძალაში შევა აღნიშნული კანონი, ამას არაერთი პრობლემა მოყვება. რაც მთავარია, მისი თქმით, უმაღლესი სასწავლებლები ნახევარი უპროფესოროდ დარჩება. გარდა ამისა, მიუღებელია თავად პრინციპი.

— არ შეიძლება ადამიანს აუკრძალო აზროვნება იმით, რომ აზროვნება ასაკობრივი ზღვარით შემოუფარგლო, — განაცხადა არსენიშვილმა და აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონის ძალაში შესვლა გამოიწვევს მეორე პრობლემასაც, რადგან ეს კანონი ითვალისწინებს იმას, რომ ასაკობრივ ზღვარს მიღწეულ პროფესორებს ენიშნებათ პენსია, ხოლო პენსიას და პროფესორის საშუალო ხელფასს შორის არსებული საშუალო განსხვავება უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა დაფაროს.

## რატომ არ უყენებენ ბრალს სეპარატისტთა ლიდერებს?

**საპარლამენტო უმცირესობის წევრი პაატა დავითაია სეპარატისტთა ლიდერებისთვის ბრალის წაყენების დაჩქარებას ითხოვს.**

როგორც დავითაიამ გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ყველა მონაცემი ცხადჰყოფს, რომ საქართველოს მიმართ აგრესია გრძელდება და ყოველდღიურად ხდება ესკალაციის გაძლიერება გარკვეული მიზნებისათვის.

მისი თქმით, ცნობილია, რომ სეპარატისტების მიმართ გამოძიება დაწყებულია და დაკითხულია რამდენიმე ათასი ადამიანიც.

— თუმცა ჩემთვის გაურკვეველია, ახლა მაინც რატომ არ უყენებენ ბრალს სეპარატისტთა ლიდერებს, — განაცხადა დავითაიამ.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

გაერო

## რუსული ჯარის გაყვანამდე სიტუაცია მშვიდობიანად არ მოწესრიგდება



**გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 9 ოქტომბრის განცხადებას უპასუხებს და აცხადებს, რომ მოსკოვმა არა თუ გაიყვანა ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან, არამედ პირიქით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო კონტინგენტს ზრდის. აღნიშნული განცხადება ალასანიამ გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

— ეს მთავარი საკითხია, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა გადაჭრას. საქართველოს მთელი ტერიტორიიდან რუსული ჯარის სრულ გაყვანამდე სიტუაციის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე პროგრესი არ იქნება, — განაცხადა ალასანიამ.

ირაკლი ალასანიამ რუსეთი ეთნიკურ წმენდაში დაადანაშაულა. გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის განცხადებით, შეუძლებელია იძულებით გადაადგილებული პირების აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკუთარ სახლებში დაბრუნება. ალასანიას თქმით, საქართველოს „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ ევროკავშირის დამკვირვებლებს არ უშვებენ.

ალასანიას განცხადებით, რუსეთი არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და პრინციპებს და ცალმხრივად ცდილობს სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების შეცვლას.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პრესკონფერენცია

## „ვინც ნოღაიდელისა და კიწმარიშვილის გაოპოზიციონერობას ირწმუნებს, ის საკუთარ ღირსებაზე ხუჭავს თვალს“



**ჟურნალისტი ირმა ინაშვილი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ექსჩინოვნიკების მხილებას იწყებს, რომლებიც ოპოზიციურ ასპარეზზე გააქტიურებას აპირებენ.**

როგორც ირმა ინაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პირველ რიგში, მოუწოდებს ზურაბ ნოღაიდელს და ეროსი კიწმარიშვილს, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში გავლენიანი პირები იყვნენ, შეწყვიტონ საზოგადოების და ჟურნალისტების ჭკუის დარიგება დემოკრატიასა და მედიაზე.

ინაშვილი მიმართავს ჟურნალისტებს, ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, ოპოზიციას, ნუ შეეცდებიან ნოღაიდელის ე.წ. გათეთრებას და მის ოპოზიციურ ლიდერად ფორმირებას.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, პირადად მე და, ასევე, ქართველი ჟურნალისტები მკაცრად ვამხელთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ნოღაიდელს ოპოზიციაში შეძრომაში დაეხმარება. ვინც თვალს დახუჭავს და შეეგუება ნოღაიდელის გაოპოზიციონერებას, უნდა ახსოვდეს, რომ თვალს ხუჭავს საკუთარი ქვეყნის მომავალსა და საკუთარ ღირსებაზე. დემოკრატიულ ფასეულობებზე მზრუნველმა ზურაბ ნოღაიდელმა, რომელმაც მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ ქართველ ჟურნალისტებს ხელისუფლებამ გამოხატვის თავისუფლება წაართვა, უნდა იცოდეს, რომ სწორედ ქართველი ჟურნალისტების ჯგუფი ამზადებს ნავთობპროდუქტების სფეროში მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის კედელზე ვაჩვენებთ, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მანვე ეროსი კიწმარიშვილსაც მოუწოდა, ნუ გაბედავს გაზეთის ფურცლებიდან საზოგადოებას განუცხადოს, რომ თურმე სააკაშვილს 5 იანვრის არჩევნების გაყალბებაში ეხმარებოდა. „ეროსი კიწმარიშვილი არასდროს ყოფილა უბრალოდ ტელევიზიის მფლობელი. ის ბოლო 15 წლის მანძილზე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ კორუფციაში, ტელევიზიას იყენებდა საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებისა და დეფორმირებისთვის. ეხმარებოდა ერთი პოლიტიკური კლანის ინტერესებს და, როგორც თავად აღნიშნავს, ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილს, ჟვანიასა და ბურჯანაძეს შორის ასრულებდა ე.წ. არბიტრის ფუნქციას, ანუ იდგა კონსტიტუციაზე მაღლა“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

ჟურნალისტმა განმარტა, რომ გადაიღო ფილმი, სადაც არის დოკუმენტურად ნაჩვენები, როგორ დადეს მარეგულირებელი კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა და ზურაბ



ნოღაიდელმა დანაშაულებრივი გარიგება, რომელიც მიზნად ისახავდა ტელესიხშირეთა მესაკუთრეებისა და დამოუკიდებელი ქართველი ჟურნალისტებისთვის ამ ტელესიხშირეების წართმევას. კერძოდ, ეს ეხება დეციმეტრულ ტელესიხშირეებს.

მანვე განაცხადა, რომ ზურაბ ნოღაიდელს, როგორც სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის თანამონაწილეს, ბოლო ათ წელიწადში საეჭვოდ გამილიონერებულ ჩინოვნიკს, ჟურნალისტებისთვის ასპარეზის, ხოლო მესაკუთრეებისთვის ტელესიხშირეების წამრთმევ ექსპრემიერ-მინისტრს არა აქვს მორალური უფლება, ქართულ საზოგადოებასა და ჟურნალისტთა კორპუსს დემოკრატიის არსზე მოძღვრავდეს.

**ინტერპრესნიუსი**

ხელისუფლება და მედია

**სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ანგარიშის ძალიან „შავი" დეტალები...**

# „იმედის" დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

## ვინ ფლობს „რუსთავი-2"-სა და „მზეს"?

**კონკრეტული პასუხი კითხვაზე, ვის ეკუთვნის ეს ტელეკომპანიები, კვლავ უცნობია.**

ტელეკომპანია „რუსთავი-2"-სა და „მზეში" საწესდებო კაპიტალის წილის 55 პროცენტს, ანუ დომინანტურ მდგომარეობას ფლობს კორპორაცია „გეომედია გრუპი", რომელიც 2007 წლის 10 იანვარს მარშალის კუნძულებზე (!!!ძ დარეგისტრირდა. ვინაიდან ის ოფშორულ კორპორაციას წარმოადგენს, დამფუძნებლის შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია. ამაზე კონტროლი კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეკისრება, მაგრამ ვინაიდან ის არ არის მიუკერძოებელი, მაუწყებელთა მესაკუთრეების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უცნობია.

ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევით, ცვლილებები საწარმოთა წილობრივ მონაწილეობაში სათავეს იღებს 2004 წლიდან. **სოზარ სუბარი მიუთითებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის, დაშინების გზით ცდილობდნენ ლიცენზიის მფლობელი სატელევიზიო სადგურების მესაკუთრეთა ჩანაცვლებას მათი ინტერესების გამომხატველი არხებით.** პირველი სამიზნე „ობიექტივი-2" გახდა. ტელეკომპანიის საწესდებო კაპიტალის 100 პროცენტის მფლობელ ქეთევან ასათიანს მაშინდელი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის მოთხოვნით, წილი დაათმობინეს.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აიძულა ქიბარ ხალვაში „რუსთავი-2"-ის საწესდებო კაპიტალის წილი, 78 პროცენტი, მისთვის უცნობი პირისთვის გადაეცა. თუმცა როგორც ხალვაში სუბართან ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, თავიდან სწორედ სააკაშვილის მოთხოვნით შეიძინა აღნიშნული ტელეკომპანიის საწესდებო კაპიტალის წილი – 90 პროცენტი, ისევე როგორც „მზისა" და „პირველი სტერეოსი". ქიბარ ხალვაში აცხადებს, რომ 2006 წელს „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსის მოთხოვნით გაათავისუფლა, ხოლო იძულებით დათანხმდა ახალი დირექტორობის კანდიდატზე, კობა დავარაშვილზე, რომელსაც რეკომენდაცია გიორგი არველაძემ გაუწია. **ქიბარ ხალვაში ახსნა-განმარტებაში მიუთითებს ქალაქის მერის გიგი უგულავას, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილის, გიგა ბოკერიასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელი უფროსის გიორგი არველაძის მხრიდან სარედაქციო გადაწყვეტილებაში ჩარევის უხეშ ფაქტებზე.**

სუბარის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ტელევიზიების მფლობელების განცხადებებიდან ისეთი სურათი იქმნება, რომ ტელეკომპანიების წილებთან დაკავშირებით მუშაობდა სახელმწიფო რეკეტის ისეთივე სქემა, როგორიც საკუთრების უფლების ხელყოფის სხვა შემთხვევებში, როცა ქონებას სახელმწიფოს „ჩუქნიდნენ". განსხვავება იყო ის, რომ საწარმოს ან მისი წილების გაჩუქება ხდებოდა არა სახელმწიფოზე (ეს ვერც მოხდებოდა, ვინაიდან „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონი უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოსა და თანამდებობის პირს სამაუწყებლო ლიცენზიის ფლობასძ, არამედ – კერძო პირზე. აღნიშნული პირების მეშვეობით ხელისუფლების წარმომადგენლები აკონტროლებდნენ იმ სიხშირეებს, რაც მაუწყებელზე გაცემული იყო 2004 წლამდე. მაგალითად, **„202"-ის სიხშირე გადავიდა თავდაცვის სამინისტროს ინტერესების გამომხატველი არხის, „საქართველოს" სარგებლობაში, ხოლო „ობიექტივი-2"-ის სიხშირით, კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ტელეკომპანია „ალანია" მაუწყებლობდა.**

„რუსთავი-2"-ის, „მზისა" და „პირველი სტერეოს" საწესდებო კაპიტალის წილის 45 პროცენტის მფლობელი კომპანიის „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის" დამფუძნებლის საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **დავით ბეჟუაშვილია.**

ომბუდსმენი მიუთითებს, რომ სატელევიზიო მედიის საკუთრება ხელისუფლების კეთილგანწყობასთან ერთად, მეწარმისთვის გარკვეული პრობლემების შემცველიცაა. სატელევიზიო მედიის საკუთრება – ეს არის საფასური, რასაც თავისი პოლიტიკური გუნდისთვის ან მისთვის სასარგებლო პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად იხდის მეწარმე მწირი სარეკლამო ბაზრის პირობებში: სატელევიზიო ბიზნესი არ არის მომგებიანი, განსაკუთრებულად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული საინფორმაციო სამსახურის ფუნქციონირება.

ახალი ამბების სამსახურის არსებობა, თუკი არ არის რეიტინგული და ხელისუფლების ხელში არ წარმოადგენს იმ მასშტაბის პროპაგანდის საშუალებას, რასაც კონკურენტი ტელევიზია, ის მომაბეზრებელია ბიზნესის წარმომადგენლისთვის. ასეთ პირობებში ბიზნესმენი იღებს ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილებას. **სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მზის" საინფორმაციო სამსახურის დახურვის ფაქტი.**

## რატომ გაქრა „მეცხრე არხი?"

ცნობილია, რომ „მეცხრე არხის" მფლობელი იყო „ქართუ ფონდი", რომელიც დიდი ბიზნესმენისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულია. „რუსთავი-2"-ის მფლობელობასთან დაკავშირებით დოკუმენტების გამოთხოვის შედეგად, სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ **ამჟერად „მეცხრე არხის" საწესდებო კაპიტალის 100 პროცენტი წილის მფლობელია „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი.**

ტელეკომპანია „მეცხრე არხმა" 2004 წელს შეწყვიტა მაუწყებლობა. მართალია, მას შემდეგ ოთხი წელი გავიდა, მაგრამ ის დღესაც ფლობს მაუწყებლობის ლიცენზიას, რადგან არ არსებობს რაიმე დოკუმენტი, რომელიც ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა. საქართველოს კანონის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ზედიზედ სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის შეწყვეტა. „მეცხრე არხი" უკვე ოთხი წელია არ მაუწყებლობს.

## „ობიექტივი-2" ხელიდან – ხელში...

სუბარის დასკვნით, თუკი თვალს გავადევნებთ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ხელიდან ხელში ტელეკომპანიების საწესდებო კაპიტალის წილების უმრავლესობის დინამიკას, წილის უმრავლესობის მფლობელი არ არის აღნიშნული აქტივის რეალური მესაკუთრე. ამ მოსაზრებას ამყარებს ტელეკომპანია „ობიექტივი-2-ის" ფაქტი. მისი ყოველი ახალი მესაკუთრე უცხო პირთან აფორმებს წილის უსასყიდლოდ დათმობის ან ჩუქების ხელშეკრულებას.

„ობიექტივი-2-ის" 100 პროცენტის მფლობელმა ქეთევან ასათიანმა საწესდებო კაპიტალის წილის 51 პროცენტი უსასყიდლოდ დაუთმო დავით კაკაურიძეს, თავის მხრივ, კაკაურიძემ ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა ნოდარ ჭარხალაშვილს, ბოლოს ეს წილები ასევე უსასყიდლოდ გადაეცა გურამ კვირიკაშვილს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ **აღნიშნული ტელეკომპანიების მესაკუთრეები სულაც არ არიან ისინი, ვინც ასეთად რეგისტრირებული არიან სამეწარმეო რეესტრში ან დამოუკიდებელ რეგისტრატორთან.** ასეთი პიროვნებები სჭირდება ხელისუფლებას, რათა საწარმოს აქტივში არსებული სიხშირე თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს ან არ დაუშვას ასეთი სიხშირის თავისუფალ ბრუნვაში მოქცევა.

## ტელეკომპანია „კავკასია" და მედიაზე ზემოქმედების ეკონომიკური ბერკეტები

მედიის მფლობელები და დამოუკიდებელი ექსპერტები კვლავ მიუთითებენ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის თაობაზე. ეს მედიასაშუალებებია ტელეკომპანია „კავკასია", რადიოსადგურები და ბეჭდვითი მედია. ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფორმები არ ყოფილა ისეთი სასტიკი და ძალადობრივი, როგორც ეს იყო 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედის" მიმართ, მაგრამ ამჯერად იერიში მიიტანეს სარეკლამო შეკვეთებზე და ხელისუფლება მათთვის ფინანსური პრობლემების შექმნას შეეცადა. ფინანსური კუთხით ზეწოლის ფორმის გამოყენების ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა იკისრა.

იხ. 4 გვ.

საჩუქარი

# „პრეზიდენტმა ტელევიზორი გამომიგზავნა!.."

**ალმართ-დაღმართში ბევრი ვიარე და, ბოლოს, დირბში ავედით. იგი არა მარტო ქარელის რაიონის, შიდა ქართლის ერთი ღონიერი სოფელია. თვალს გვტაცებდა აფერადებული შემოდგომის სურათები. გზის პირას ჭადრების შრიალი, ღობეზე გადმოწეული ქარვისფერი კომში, ქაცვის ბუჩქები. აგერ, მამითადი გაუჩაღებიათ სოფლელებს – ჯუმბერ მაზიაშვილი სახლს აშენებს და ხარაჩოზე ტრიალებენ მეზობლები.**

ეს კი ბექა ქოთუაშვილის სახლია. ღარიბულად მოუწყვია ბინა გელას, წვრილშვილის პატრონია, ყველაფერს ვერ შეწვდება კაცი. ახლაც ბაღშია წასული, ხეხილს უნდა დახედოს, ნაკვეთშიც პატივი შეიტანოს.

11 წლის ბექა ეს-ეს არის სკოლიდან დაბრუნდა და გაკვეთილებს მიუჯდა, ცალი თვალი კი გზისკენ უჭირავს – ეს ერთი კვირაა პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა. წერდა: ღარიბულად ვცხოვრობთ, ტელევიზორი მინდა რომ მქონდეს, გაკვეთილების მომზადების შემდეგ საინტერესო ამბების გასაგებად მეზობლებში აღარ ვივლიდიო, ამ გრძელ ზამთარში ტელევიზორი ჩვენი ოჯახისთვის დიდი შვება იქნებოდაო.

ჭიშკრის წინ მანქანა გაჩერდა და მისი სიგნალიც მოესმა ბიჭს. წამოხტა და გარეთ გაიჭრა. ეზოსთან უცხო ადამიანები იდგნენ, როგორც შემდეგ გაირკვა, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის აპარატის თანამშრომლები. ბექა ქოთუაშვილი იკითხეს.

– მე ვარ, – უპასუხა ბიჭმა.

–საქართველოს პრეზიდენტმა საჩუქრად ტელევიზორი გამოგიგზავნა, – თქვეს მოსულებმა და მანქანის საბარგულიდან ყუთების ამოლაგებას შეუდგნენ.

– ეს ყუთი კი მხარის გუბერნატორის ლადო ვარძელაშვილის საჩუქარია, ფქვილი, ბურღული, ზეთი და ნუგბარ-ნამცხვარი.

აფუსფუსდა ქოთუაშვილების ოჯახი. ახალ ფერად ტელევიზორს თავისი კუთხე მიუჩინეს, ბექა კი სასკოლო სახელმძღვანელოებს მიუჯდა. საღამოზე შოტლანდიიდან ჩვენი რაგბისტების თამაშის გადმოცემაა და გაკვეთილების მომზადება უნდა მოასწროს.

**გურამ პაპლიაშვილი.**

ინფორმაცია

## სამხრეთ ოსეთს ძნელი ზამთარი ელის

**ე. წ. სამხრეთ ოსეთში გაზსადენის შეყვანა 2009 წლის ზაფხულისთვის იგეგმება.**

**როგორც სააგენტო „რეგნუმი" იუწყება, ამის შესახებ „გაზპრომის" აქციონერთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ალან ხასიევმა განაცხადა.**

**ჩვენი ამოცანაა, სამხრეთ ოსეთი გაზსადენით 2009 წლის ზაფხულში უზრუნველვყოთ. გამოზამთრება ძნელი იქნება, მძიმე ზამთარი გველის, – აღნიშნა ხასიევმა.**

ინტერპრესნიუსი

## ხელისუფლება და მედია

(მესამე გვერდიდან)

„კავკასიის“ ხელმძღვანელობის განმარტებით, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში დაიბარეს ტელეკომპანიის ხუთი კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელი და მათ აღნიშნულ ტელეკომპანიებთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვეს. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მიიჩნევდნენ, რომ „კავკასია“ ხელს უწყობდა ქვეყნის დესტაბილიზაციას, ამის გამო ტელეკომპანიაში სარეკლამო

### „მაესტროს“ საკითხიც პოლიტიკური შეკვეთაა...

**შპს „სტუდია მაესტროს“** ჰქონდა საკაბელო სპეციალიზებული (შემეცნებითი, მუსიკალური და გასართობი) ლიცენზია. 2008 წლის 18 მარტს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეშფოთება გამოთქვა „მაესტროს“ ეთერით საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის ჩვენებასთან დაკავშირებით და მას სანქცია დაუწესა.

**რებელ ორგანოს – კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, – მედია დამკვირვებლები ხშირად აკრიტიკებენ გაუმჭვირვალე სალიცენზიო პროცედურების წარმოებისთვის“.**

სოზარ სუბარი თავის ანგარიშში უამრავ ისეთ გარემოებას უთითებს, რომლებიც ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სპეციალურად გაწელა „მაესტროსათვის“ ახალი ლიცენზიის მინიჭების საკითხი, რათა ამ ხნის განმავლობაში მოესწრო „მაესტროსათვის“

# „იმედის“ დარბევის შემდეგ: კრიზისის აპოგეა...

შეკვეთები უნდა შეწყვეტილიყო. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეწარმეებს საგადასახადო შემოწმების ჩატარებითა და სანქციების დაკისრებით ემუქრებოდნენ. **მეწარმეებთან შეხვედრას ესწრებოდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის, გუბერნატორ დავით კირკიტაძის ძმა ირაკლიც. შეხვედრის შემდეგ, ხუთივე მეწარმემ გააუქმა სარეკლამო შეკვეთები „კავკასიასთან“. ამ კომპანიების სახელწოდებები ჯერჯერობით კონფიდენციალურია.**

სარეკლამო შეკვეთები გააუქმეს რადიო „ჰერეთს“, რეგიონალურ გაზეთ „პროგრესს“.

როგორც ხედავთ, ხელისუფლებამ აირჩია მედიასთან ბრძოლის ახალი ტაქტიკა. მეწარმეებზე ზეწოლის შედეგად, აუქმებს სარეკლამო შეკვეთებს. **თანამდებობის პირები ცდილობენ, ფინანსური პრობლემები შეუქმნან არასასურველ მედიასაშუალებებს. ამ შემთხვევაში მედიას სამი არჩევანი რჩება: შეწყვიტოს საქმიანობა, გაატაროს ხელისუფლების მიმართ ლოიალური სარედაქციო პოლიტიკა, ან შეზღუდული რესურსების გამოყენებით იბრძოლოს არსებობისთვის.**

არხის ხელმძღვანელობამ გადაცემები ეთერიდან მოხსნა, თუმცა პარალელურად მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა საკაბელო ქსელის გამოყენებით კერძო საერთო მაუწყებლობის ლი-



ცენზია. კომისია საქართველოს კანონის 42-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დაასკვნა, რომ ლიცენზიის მფლობელის განაცხადი არ განიხილება ამ კანონით გათვალისწინებული დარღვევისათვის მის მიმართ კომისიის მიერ სანქციის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.

**ზოგადად, საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House აცხადებს, რომ საქართველოში მედია ექვემდებარება უსამართლო და გაუმჭვირვალე სალიცენზიო რეგულირებას. მედიის მარეგული-**

სანქციის დაწესება და ახალი ლიცენზიის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საბაბი ჰქონოდა.

ეს ასეც მოხდებოდა, რომ არა დეპუტატ გიორგი თარგამაძის ჩარევა...

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძისა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, გიორგი თარგამაძის ძალისხმევას, რომელსაც დამოუკიდებელი ტელეკომპანიისთვის ლიცენზიის მოდიფიცირება მოჰყვა. თუმცა, მეორე მხრივ მწუხარებას გამოთქვამს, რომ „მაესტროს“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების საკითხი წყდება არა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან სასამართლოს დარბაზში, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტში. **ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახით არსებობს მმართველი ორგანოს მიმართ მიკერძოებული ორგანო, რომელიც დამოკიდებულია ამგვარი გუნდის პოლიტიკურ შეკვეთაზე...**

თეა მოსია.

(დასასრული მორიგ ნომერში)

## კომპეტენტური აზრი



# ვის გაუკვალავს გზას ეს გზა?

***ზუსტად** ერთი თვის წინათ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი ახალი საავტომობილო გზის გაყვანასთან დაკავშირებით, რომელიც სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე მეღრი-ერევანი-გიუმრი-ნინოწმინდა-ახალქალაქი-ახალციხე-ადიგენი-ბათუმის მარშრუტით გაივლის. ჯერ იყო და, 17 ოქტომბერს ჩვენმა სასიქადულო მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა რედაქციას წერილით მიმართა, სადაც, კერძოდ, აღნიშნული იყო: „უმორჩილესად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ქვემოთ მოყვანილი შეკითხვები და შეძლებისდაგვარად კომპეტენტურ პირთა პასუხებიც“.*

**1. საჭიროა თუ არა ამ ტრასის მშენებლობა მაშინ, როდესაც არსებული გზებით შავ ზღვამდე მისვლა სომხეთისთვის არასოდეს ვისმე დაუშლია?**

**2. რა დაჯდება სამხრეთ-შავიზღვისპირეთის ტრასა და, შესაბამისად, პორტიც, ვინ განახორციელებს დაბანდებას?**

**3. ვისი საკუთრება იქნება ეს ტრასა და თუ საქართველოსი არა, რამდენი ხნით იქნება სხვისი, ან რაიმე ჯგუფის მფლობელობაში?**

**4. სომხეთი რუსეთის ხელქვეითი ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ თუ არა, რომ ეს ტრასა, სხვა ობიექტების მსგავსად, რუსეთის იმპერიის საკუთრება იქნება?**

**5. თუ ჩემთვის გაუგებარი აუცილებლობის გამო ამ მშენებლობის განხორციელება, სახელდობრ ჩვენი ამ ჭაპანწყვეტის დროს, გარდაუვალია, იქნებ ჯობდეს თუნდ კაბალური კრედიტით, თავად ჩვენ დავაფინანსოთ და საკუთრებაში დავიტოვოთ ეს მაგისტრალი“.**

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ამ შეკითხვებს მეორე დღეს მოყვა ცნობილი არმენოლოგის ბონდო არველაძის წერილი **„დაშნაკების საუკუნოვანი ოცნება სრულდება?..“**, რომლის რამდენიმე საგულისხმო მომენტი საგანგებოდ გვინდა შევახსენოთ: **„უპრიანი იქნებოდა, მკითხველმა იცოდეს,რომ ეს პროექტი (ანუ აღნიშნული ტრასის – ავტ.) XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სომხებს უკვე მზად ჰქონდათ...“**, რასაც შემდეგი აბზაცი უფრო თვალნათელს ხდის: **„სომხეთის მთავრობის შეკვეთით პროექტი ფრანგულ ენაზე შეუსრულებია საფრანგეთის საგზაო სამინისტროს. ყდაზე აწერია: ტასისი – თანამშრომლობისა და კოორდინაციის პროგრამა: მეღრი-ერევანი-გიუმრი-ბათუმის საგზაო ღერძის მშენებლობა. კანდიდატურების დოსიე – ახსნა განმარტებითი ბარათი. მოგების მონაწილენი – სომხეთი, საქართველო; შემსრულებელნი: დეპარტამენტი (საფრანგეთის ტექნიკური უზრუნველყოფის სამინისტრო), არმენგი, პროდორი (სომხეთი), 1994 წ. ივნისი“.**

იხ. 6 გვ.

## მხარე

# ახალმოსახლეობისთვის ემზადებიან

**ზამთრის ელჩობა მოადგა თრიალეთს. ატენისა და ძამის ხეობების სათავეებში უკვე ჩამოთოვა.** ბუნება ახლა იმასღა ელოდება, როდის მოათავებს გლეხობა მინდვრის სამუშაოებს, როდის აიღებს და დააბინავებს მოსავალს, მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი მაინც სხვაა – ხელი უნდა შეუწყოს მშენებლებს იმ საცხოვრებელი სახლების დამთავრებაში, აგვისტოს ომში რუსეთის მიერ ჩვენი დაბა-სოფლების დაბომბვის შედეგად ნანგრევებად რომ იქცა, ხალხმა კი



ძლივს გამოასწრო. მას შემდეგ დევნილებმა დიდი გაჭირვება გამოიარეს. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას წუთითაც არ მიუტოვებია ისინი ბედის ანაბარა. სოფლების თავზე ჯერ ისევ გუგუნებდნენ მტრის თვითმფრინავები, ლტოლვილებისთვის სახელდახელოდ კარვების ქალაქები რომ შენდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო შემდეგ, როგორც კი საერთაშორისო თანამეგობრობამ დახმარების ხელი გამოგვიწოდა, დაიწყო დიდი მასშტაბის სამუშაოები – საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დევნილებისთვის. ფაქტობრივად ახალი სოფლები აღმოცენდა გორის შემოგარენში, სოფელ შავშვებთან თბილისის სიახლოვეს...

საავტომობილო გზა გასცდა აგარას, გადაიარა რკინიგზის ხიდი და შემოდგომის ფოთლებით აფერადებულ გზატკეცილზე გასრიალდა. მარჯვნივ სატვირთო მატარებლის შემადგენლობამ ჩაგვიარა, ნავთობით დატვირთულ ცისტერნებს მიაგრიალებდა ბათუმისკენ. ჩაიარა შემადგენლობამ და გადალმა მშენებარე სოფელი გამოჩნდა. მოხისის შორიახლო ცხინვალელი დევნილებისთვის საცხოვრებელი სახლები შენდება. ეს პოტიომკინის სოფელი არ გეგონოთ, რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორეს რომ ატყუებდნენ – აი, რა კეთილდღეობაში გვყავს გლეხებიო. რუსეთი დღემდე ფასადების ქვეყნად რჩება.

მშენებლობის უფროსთან ზაზა ხვიტიასთან და მის მოადგილესთან ვასო გიგაურთან ერთად სოფლის ახლადაშენებულ ქუჩებში დავდივართ, ასწორებენ გზებს, ჭრიან კიუვეტებს, დგამენ ლამპიონებს. მაგრამ აქ მთავარი სახლებია, რომელშიც დევნილთა ოჯახები 22 ნოემბერს შესახლდებიან.

– 58 სახლი ავაშენეთ, – მეუბნება ზაზა ხვიტია. – პროექტი ტიპიურია და ყველა სახლი ოთხოთახიანია. ვფიქრობთ, დევნილებმა კომფორტულად უნდა იგრძნონ თავი ახალ ბინებში. ყოველ ოჯახს სახლის წინ 600 კვადრატული მეტრი ფართობი ექნება, ცოტა მოშორებით კი დაახლოებით თითო ჰექტარ მიწას დაურიგებენ.

რით მოაწყობენ დევნილები თავიანთ ოჯახებს?

ავეჯით! და ამაზე ხელისუფლებამ უკვე იზრუნა. ქარელის რაიონის ბევრ ორგანიზაციაში, სადაც ეს მოსახერხებელი იყო, შეტანილია საოჯახო ავეჯი, – არ დაიჯერებთ! – კბილის ჯაგრისიდან დაწყებული, დამთავრებული ტანსაცმლის კარადით, საწოლებით, ქვეშაგებით და ოჯახისთვის საჭირო ნივთებითა და დგამ-ავეჯით.

ერთი კვირაც და მოხისის სიახლოვეს აშენებულ სახლებში დევნილები ახალმოსახლეობას იზეიმებენ.

**გურამ ვაშაკიძე,**
**ქარელის რაიონი,**
**სოფელი მოხისი.**

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

ეს გამოხტომა ალა-მაჰმად-ხანს, მართალია, არ შეარჩინეს, მაგრამ ასტრაბადის ყურეში კოლონიის დაარსება ჩაუფლავდათ.

ირანის ტახტს რამდენიმე პრეტენდენტი ჰყავდა, და რუსეთის მთავრობას ექლეოდა შესაძლებლობა, მეტოქეთა შანსების შეჯერების შემდეგ, აღეთქვა თავისი მხარდაჭერა იმ მეძიებლისათვის, ვინც მეტს მისცემდა.

ერთი პირობა ალა-მაჰმად-ხანიც გაელაქუცა რუსეთს, მაგრამ, ჯერხნობით არცთუ ბრწყინვალედ მიუდიოდა საქმე, ამიტომ, მხოლოდ გაუხსენეს „კადნიერი საქციელი რუს ოფიცრებთან დაკავშირებით“. ქერიმის შვილი, აბდულ-ფეთი-ხანი, იხვეწებოდა დახმარებას, და სანაცვლოდ რუსეთს აღუთქვამდა, მთელ სპარსეთს თქვენ მფარველობის ქვეშ შემოვიყვანო, მაგრამ სულ მალე დალია სული, შირაზს დაპატრონებული ალი-მურად-ხანის ხელში, რომელიც ერთი ხანობა შაჰის ტახტის ყველაზე თვალსაჩინო პრეტენდენტი იყო.

**2.**

ნათქვამი საკმარისია იმის მისახვედრად, რომ სასპარსეთო პოლიტიკის ჟამმა კვლავ დაჰკრა, და ახლა ყველა მარჯვე გარემოებით უნდა ესარგებლათ. ასეთ პირობებში, ძნელი არ იყო იმის მოსაზრება, თუ რაოდენ ხელსაყრელია საქართველოსთან კავშირი; ასეთი კავშირის წყალობით, რუსეთს ექნებოდა მტკიცე საყრდენი წერტილი იმ თეატრის შორიახლოს, რომელზეც აპირებდა ფართო მასშტაბის მოქმედებას.

რაკი საქართველოსთან კავშირის აუცილებლობა რუსეთის მთავრობას მისმა საირანო გეგმებმა უკარნახა, ამ საქმის განხორციელებას წინ ველარაფერი დაუდგებოდა, ვინაიდან საქართველოში ყოველთვის მზად იყო ნიადაგი ასეთი კავშირისათვის.

ერეკლეს მცდელობას, დაემყარებინა ურთიერთობა და მოეპოვებინა დახმარება იმპერატორ იოსებ I-თან, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, და, ბუნებრივია, რომ როდესაც პოტიომკინმა ფათერაკების მაძიებელი გერმანელი ექიმის რაინაგსის პირით გადაუკრა ერეკლეს, ხელშეკრულება ხომ არ დაგვედოო, ქართლ-კახეთის მეფეს დასტურის ნიშნად მხოლოდ ის პირობები უნდა გაემეორებინა, ათი წლის წინათ რომ შესთავაზა.

თავის მხრივ, 1783 წლის გაზაფხულზე პოტიომკინმა გამოგზავნა თავისი პროექტი ტრაქტატისა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ემთხვეოდა ერეკლეს პირობებს (ზუსტად ათი წლის წინათ პანინი ამ პირობებზე ამბობდა: „უცნაური და სრულიად უდროოდ წამოყენებული წინადადებებიაო“. Грамоты, etc. გვ.400).

ამრიგად, 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში რუსეთისა და საქართველოს რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს განთქმულ ტრაქტატს, რომლის განხილვაზეც გადავალთ ახლა. (П.С.З.№. 15,835. რწმუნებული მოციქული რუსეთის მხრივ იყო გენერალი — პორუჩიკი პ. პოტიომკინი, საქართველოს მხრივ — გენერალი“მხედრობის მემარცხენე სპასპეტი“ თავადი იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი და თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

## თავი მერვე.
## საქართველო-რუსეთის 1783 წლის ტრაქტატი.

**I.**

**1.**

1783 წლის ხელშეკრულების საგანს, როგორც სენატისადმი ბრძანებაშია აღნიშნული, წარმოადგენს ის, რომ ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ ცნოს თავის ზედა რუსეთის იმპერატორთა უმაღლესი ხელისუფლება და მფარველობა.

ადრითგან, ნათქვამია ტრაქტატის შესავალში „ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა ქართველთამან ჰმსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებლობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქვეშევრდომილ იყვნენ იგინი მეზობელთაგან თვისთა“, საქართველოს მეფეთა მიმართ რუსეთის თვითმპყრობელთა მფარველობამ განაპირობა მათი ის დამოკიდებულება, რომელიც „უფროსლა“ მოჩანს თვით საიმპერატორო ტიტულში.

ახლა კი იდება მეგობრობის ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს მეფე „აღიარებს უზენაესსა ხელმწიფობასა და მფარველობასა მისისა იმპ-ს დიდ-ისასა ...რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობითა და ნამდვილი ხატითა შეკრულება თვისი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა“, ხოლო მეორე მხრივ, მ.ი.დ. „ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობით - თუ ვითარი აღმატებულებაი და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯვენისაგან მისისა“ ქართლ-კახეთის სამეფოს „ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა“.

საქართველოს მიმართ იმპერატორთა ძალაუფლების ამდაგვარი აღიარება აშკარად გამორიცხავს რომელიმე სხვა სახელმწიფოს „ქვეშევრდომობას“. ამიტომ, ტრაქტატის პირველივე მუხლში ერეკლე „დღესასწაულობით უკუნსთქუამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდებულებისა სპარსთა, ანუ სხვათა მპყრობელთასა და ამით ცხადჰყოფს წინაშე პირთა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს იგი თვისთა ზედა და მემენაცვლეთა თვისთა ზედა სხუასა თვითმპყრობელსა თვინიერ უზენაესისასა ხელმწიფისა და მფარველობა მ-ს იმპ-ს დ-სა“ და მის მემკვიდრეთა.

ამით ერეკლე ქვეშევრდომობას უცხადებს თავის სიუზერენს — იმპერატრიცას; შემდეგ მოდის აღთქმა ერთგულების და მზადყოფნისა, შეეწიოს იმპერიის სარგებლობას „ყოველსა შინა შემთხვევასა და დროსა, სადაც ესე ითხოვებოდეს მისდამი“ (ib. არტ. პირველი). თავის მხრივ, მ-სი დ-ა „აღსთქუამს თანასწორადვე და იმედეულ ჰყოფს იმ-ბრითა სიტყვითა თვისითა თავისა თვისისათვის და მოსაყდრეთა თვისისათვის, ვითარმედ მოწყალება და მფარველობა თვისი უგ-სთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა აროდეს მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლევს იმპ-ებრსა თავსმდებობასა თვისსა მთლად დაცვასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგ-სა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს გავრცელებასა ესე ვითარისა თავმსდებობისასა ეს გუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოისა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოისა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან“ (ib. არტ. მეორე).

საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის და ხელშეუხებლობის გარანტია არის სწორედ ის, რისი გულისთვისაც კისრულობს ერეკლე მთელ რიგ ვალდებულებებს რუსეთის მიმართ. ეს ვალდებულებანი უსპობენ მეფეს მოქმედების თავისუფლებას, უზღუდავენ სისრულეს უფლებებისას როგორც საქართველოს მეფეს; და ამ შეზღუდვას, უფრო სწორად ხელშეკრულებაში აღნიშნულ შეზღუდვებს შეესაბამება მთელი რიგი პრეტენზიები, რომლებიც, იმპერატორის მთავრობისათვის, გამომდინარეობენ საქართველოს მიმართ რუსეთის ზე-მდგომობიდან, ერეკლემ რომ ცნო, ტრაქტატის საფუძველზე.

უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ტრაქტატის სწორედ იმ მუხლებს, რომლებიც განსაზღვრავენ, რა შეუძლია რუსეთს, მოსთხოვოს საქართველოს (და, მაშასადამე, რა ვალდებულება ეკისრება ამ უკანასკნელსძ — და რას შეუძლია, მოელოდოს საქართველო რუსეთისაგან (და, მაშასადამე, რა ევალდებულება რუსეთს, მისცეს მასძ.

ორმხრივი უფლება-მოვალეობების ამ შესაბამისობაში ვლინდება საქართველოსა და რუსეთის კავშირის სახელშეკრულებო ხასიათი, ეს არის სწორედ ეგრეთ წოდებული foedus non aequum, ანუ უთანასწორო კავშირი. მაგრამ, უკანასკნელი აღნიშვნა მოწმობს მხოლოდ საპოლიტიკო პირობებს, რომლებსაც მოჰყვა ხელშეკრულების დადება, და მხარეთა ძლიერების თანაფარდობას; თავისთავად სახელშეკრულებო საწყისს და ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას ამით არავითარი ვნება არ ადგება.


З. АВАЛОВЪ
ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ
КЪ
РОССІИ
С.-ПЕТЕРБУРГЪ
1901

**2.**

ამიერიდან, საქართველოს მეფენი მემკვიდრეობითი დინასტიური უფლებით ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლისას „მსწრაფლ“ აუწყებენ ამის შესახებ რუსეთის მთავრობას, და თავიანთ დესპანთა პირით ითხოვენ სამეფოსა ზედა „დამტკიცებას“ ინვესტიტურითურთ, საინვესტიტურო ნიშნების მიღებისას (სახელდობრ, ეს არის სიგელი, დროშა სრულიად რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ჩასმულია ქართლ-კახეთის სამეფოს გერბი; აგრეთვე ხმალი, საბრძანებელი კვერთხი და მანტია ანუ მოსასხამი ყარყუმისა (არტ.მესამე). მეფე რუსეთის რეზიდენტის თანდასწრებით „თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათვის და გულსმოდგინებისა იმპერიის რუსეთისა და უზენაეს შერაცხისათვის ხელმწიფებისა და მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა“.

რა მნიშვნელობა აქვს, მოცემულ შემთხვევაში, საიმპერატორო ინვესტიტურას? ტოლფასია იგი სულთნის ფირმანისა, რომელიც de jure აუცილებელია ეგვიპტელი ჰედივების და ბულგარეთის მთავრების ტახტზე ასვლისას?

ანდა, ავიღოთ უფრო ახლობელი მაგალითი. მაჰმადიანი მეფეები ძალაუფლებას საქართველოს ზედა ილებდნენ შაჰის ბრძანების საფუძველზე; მათ უგზავნიდნენ საჩუქრებსაც, რომლებსაც ინვესტიტურის ნიშნების მნიშვნელობა ჰქონდათ. ქართული — ეროვნული და ქრისტიანული — თვალსაზრისით, ბაგრატოვანნი ღვთივ-ცხებულნი იყვნენ და ძალაუფლება „უფლის წყალობით“ ჰქონდათ მინიჭებული. მაგრამ სპარსელთა — აგრეთვე რენეგატ ქართველთა — თვალსაზრისით, ტახტზე ასვლას, ასეთ შემთხვევაში, განაპირობებდა შაჰის ფირმანი. ამიტომ, ისინი „ბედნიერი შაჰის წყალობით“ იყვნენ მეფენი (თუმცა, ქართულ სიგელებში ძალაუფლების ორივე წყარო, ღმერთი და შაჰი, ზოგჯერ ერთდროულად არის ნახსენები).



მაგრამ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის იმპერატორთა ინვესტიტურას, 1783 წლის ტრაქტატით? მას საერთო არა ჰქონდა რა შაჰის ინვესტიტურასთან. მეფენი მემკვიდრეობით ადიან „სამეფოს ზედა მათსა“ — ხოლო შემდეგ დაუყოვნებლივ ითხოვენ იმპერატორის ინვესტიტურას. ეს უკანასკნელი განაპირობებს არა მეფის ძალაუფლებას საქართველოში, არამედ მხოლოდ იმ უპირატესობებისა და სარგებლობის უფლებას, რომლებსაც განსახილველი ტრაქტატი უბოძებს ქართლ-კახეთის მეფეებს.

ასეთივე პირობას წარმოადგენს ფიცი, რომელსაც დებს მეფე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეფე ადის ტახტზე და ფიცს ადებინებს თავის ქვეშევრდომთ მიუხედავად ინვესტიტურისა; მაგრამ რუსეთის დახმარების და მფარველობის პრეტენზია შეიძლება ექნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებს ინვესტიტურას და დადებს ფიცს, ტრაქტატით დაწესებული ფორმის მიხედვით.

მაინც, რა ვალდებულებებს აკისრებს მეფეს იმპერიის უზენაესობის აღიარება?

უწინარეს ყოვლისა, — და ეს არის ერეკლეს სრული ძალაუფლების შეზღუდვა — იგი უარს ამბობს საგარეო ურთიერთობათა თავისუფლებაზე, რომლებიც ამიერიდან განხორციელდება მხოლოდ რუსეთის მენაპირე მმართველებთან და რეზიდენტებთან წინასწარი შეთანხმებით.

შემდეგ, ერეკლე კისრად იღებს ვალდებულებას, შეეწიოს იმპერიის სარგებლობას ყოველ დროს, როცა კი მოსთხოვენ. მაგრამ პირველი არტიკულის ეს ზოგადი დებულება უახლოეს ახსნა-განმარტებას პოულობს მეშვიდე არტიკულში, რომლის მიხედვითაც მეფე აღუთქვამს, „იყოს ნიადაგ მზაი სამსახურსა ზედა მ-სა დ-სასა მხედრობითა თვისითა“ რას შეჰპირდნენ მეფეს უზენაესობის ცნობის, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე უარის თქმისა და მსახურების მზადყოფნის სანაცვლოდ? ტერიტორიის გარანტიას და სრულ ხელშეუხებლობას; იმის უზრუნველყოფას, რომ მომავალშიც ტახტი ბაგრატოვანთა დინასტიას დარჩება; საქართველოს შინაგანი მართვის სფეროში ჩაურევლობას. შემდეგ, როგორც პირდაპირი შედეგი საგარეო ურთიერთობაზე უარის თქმის და იმპერიასთან საქართველოს მჭიდრო კავშირისა — მუხლით დგინდება, რომ ოტომანთა პორტასთან ან სპარსეთთან, თუ სხვა სახელმწიფოსთან რუსეთის მიერ დადებული ზავი ვრცელდება საქართველოზეც. მაგრამ ეს არტიკული უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ — მთელი ტრაქტატიდან ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო საქმეებში ერეკლეს სამფლობელოები იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიებად ჩაითვლება. რა თქმა უნდა, მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ურთიერთობას ოსმალეთთან და სპარსეთთან; 1783 წელს რუსეთმა იკისრა, გამხდარიყო საქართველოს გალავანი და დასაყრდენი ამ მაჰმადიანური სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ასეთია მხარეთა ვალდებულებანი 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით; ასეთია მისი არსებითი ნიშნები — უფრო დაწვრილებითს განხილავას ეს ტრაქტატი არ იმსახურებს, ვინაიდან, თავის ყველაზე მთავარ ნაწილებში აღმოჩნდა მარტოოდენ უდღეური სიტყვა-სურვილების შეხამება. დავსძენთ მხოლოდ, რომ ტრაქტატის ყველა სხვა მრავალი განსაზღვრება ბუნებრივად გამომდინარეობს იმ ურთიერთკავშირიდან და სიახლოვიდან, როგორიც იქმნებოდა იმპერიასა და საქართველოს შორის 1783 წლის ტრაქტატით (ტრაქტატის სეპარატული დოკუმენტების ქართული ტექსტი დაბეჭდილია ცაგარელთან, ტ.II, გვ.99-100. ქართული რედაქციის განმასხვავებელი ნიშანია მეფის უფრო სრული ტიტული. აქ იგი ასე იწოდება: „მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე წყალობითა ღვთისათა და იმპერატორების დიდებულების კეთილ-ნებობითა მეფე ქართლისა, და მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილიისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა. იხ. იქვე ერეკლეს 1784 წლის 24 იანვრის რატიფიკაცია, რომელსაც ხელს აწერენ თავადები დავით ორბელიანი და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი).

**II.**

ახლა საკითხავია, სახელმწიფოთა ურთიერთობის რა ტიპს განეკუთვნება „მეგობრობის კავშირი“, რომელიც ამ ტრაქტატით შეიქმნა? იყო საქართველო (1781-1801 წ.წ.) ვასალურად დამოკიდებული რუსეთზე, თუ მისი პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა? არც ერთი, არც მეორე, ანდა, უკეთესი — ერთდროულად ერთიც და მეორეც. შეიძლება იფიქრო, რომ ეს სწორედ ვასალური დამოკიდებულების ურთიერთობაა, იმიტომ, რომ ერეკლე, რუსეთისადმი თავისი ქვეშევრდომობის გულისათვის, აღუთქვამს მას, არ ჩაუდგეს ვასალურ დამოკიდებულებაში არც ერთ სხვა ქვეყანას.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-216.

## კომპეტენტური აზრი

(მოთხე გვერდიდან)



# ვის გაუკვალავს გზას ეს გზა?

ტრასის მშენებლობის პროექტის სხვა ასპექტების განხილვისას ბატონი ბონდო არველაძე კიდევ აღნიშნავს, რომ იმ სპეციალისტებს შორის, რომლებმაც ტრასის მშენებლობაზე უნდა იმუშაონ, **„... ბევრია ევროპაში მცხოვრები სომეხი ეროვნების სპეციალისტი“**, ხოლო **„პროექტში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ამ გზას სომხეთის რესპუბლიკის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მასში გარკვევით არის აღნიშნული, რომ ამ პროექტის განხორციელებით დაინტერესებული არიან შავი ზღვის აუზის ქვეყნები და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები“**. და კიდევ ერთი ციტატა: **„ეკონომიკურად რამდენად მომგებიანი იქნება ეს გზა საქართველოსთვის, ვერაფერს ვიტყვით. ეს საქმის სპეციალისტების საქმეა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას რომ არ წაადგება, ეს კი ვიცი. ახალი არაფერია იმაში, რომ 1830-იან წლებში ერზრუმის ვილაიეთიდან პასკევიჩის მიერ გადმოსახლებული ჯავახეთის სომხობა სეპარატიზმით არის დაავადებული და შესაფერ მომენტს ელოდებიან, რათა ჯერ ჯავახეთის ავტონომიას მიაღწიონ და შემდეგ სომხეთთან შეერთება მოითხოვონ“.**

ადრე სამცხე-ჯავახეთში ნამუშევარ კაცს მეც შემიძლია ამ მოსაზრების დადასტურება, რადგან იქაური სომხური მოსახლეობის მისწრაფებები კარგადაა ცნობილი. შემდეგ კიდევ ბევრი ფაქტი მოხდა ისეთი, რომელიც ზოგიერთთა სეპარატისტულ მისწრაფებას უფრო აშკარას ხდის. ახლა ბოლო დროს აჭარაში დასასვენებლად ჩამოსულ სომეხთა საერთო რიცხვსაც და იქ ფესვის მოკიდების სურვილსაც თუ გავითვალისწინებთ, ახალი ტრასის გაყვანის იდეა ჩვენში გარკვეულ ეჭვებს რომ ბადებს, არაფერია გასაკვირი.

ახლა კონკრეტულად ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის მიერ დასმულ შეკითხვებზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის მიერ მოწოდებულ პასუხებს მოგახსენებთ, ოღონდ თავდაპირველად ერთი შენიშვნა გვინდა გამოვთქვათ. ელექტრონული ფოსტით მიღებული პასუხი არც ოფიციალურ ბლანკზეა დაბეჭდილი, არც ვინმე პასუხისმგებელი პირი აწერს ხელს, ამიტომ ისევ საკუთარ თვალის სიმახვილესა და ჟურნალისტურ სოლიდარობას ვენდობით.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხი დასათაურებულია **„ინფორმაცია სომხეთ-საქართველოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის შესახებ“** და მასში, კერძოდ, ნათქვამია. (სტილი დაცულია):

**„... საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს საავტომობილო გზების მშენებლობის პროცესი. მთავრობის ძალისხმევით ყოველწლიურად იზრდება აღდგენილი საავტომობილო გზების რაოდენობა. ხელისუფლების მიზანია, ქვეყანას ჰქონდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცენტრალური საავტომობილო, ასევე სოფლებთან, რაიონებთან და რეგიონებთან დამაკავშირებელი გზები“.**

ამის კომენტარს სულაც არ ვაპირებდით, მაგრამ, იქნებ ვინმემ განგვიმარტოს რომელ ჭკუათმყოფელ ეროვნულ ხელისუფლებას არ უნდა, რომ ქვეყანას საავტომობილო გზების ფართო და გამართული ინფრასტრუქტურა ჰქონდეს?

შემდეგ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხში ნათქვამია, რომ **„ბათუმი-ახალციხე-ნინოწმინდის გზის რეაბილიტაცია ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ გასული წლებიდან იგეგმებოდა.**

**ფონდ „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ (MCG) დაფინანსებით სამცხე-ჯავახეთის (კოდა-თელეთი-ფარცხისი-ახალქალაქი-ნინოწმინდა, ასევე ხერთვისი-ვარძიისა და ახალქალაქი-სულდა-კარწახის) შესაბამისი პროექტების მომზადება 2004 წლიდან დაიწყო. პარალელურად ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ეტაპობრივად ხორციელდება აღნიშნული საავტომობილო გზის მონაკვეთის შეკეთება.**

**ეს გზები ისტორიულად არსებობდა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ უსახსრობის გამო ვერ ხერხდებოდა მათი რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.**

**... აღნიშნული საავტომობილო გზის მშენებლობა ხელს შეუწყობს ზემო აჭარის ეკონომიკურ გაჯანსაღებას და აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების რეინტეგრაციას“.**

რაც შეეხება ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის შეკითხვას იმის თაობაზე, თუ რა ეღირება აღნიშნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხში მითითებულია, რომ **„... ბათუმი-ახალციხე-ნინოწმინდის გზის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება, დაუზუსტებელი მონაცემებით, 140-160 მილიონ ლარს შეადგენს“**. ასევე აღნიშნულია, რომ ზუსტი ციფრის დადგენა მხოლოდ ფინანსური და ტექნიკური დეტალების დაზუსტების შემდეგ გახდება შესაძლებელი.

ტრასის მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, პასუხში ნათქვამია, რომ **„ბათუმი-ახალციხე-ნინოწმინდის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება საქართველოს ბიუჯეტიდან და საჭიროების შემთხვევაში მსოფლიო ბანკის ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის შეღავათიანი და გრძელვადიანი სესხით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღნიშნული გზის გასხვისება არ იგეგმება“.**

გარდა ამისა სამინისტროს პასუხში განმარტებულია, რომ **„საქართველოს მთავრობის მიერ ასევე არ განიხილება და არ იგეგმება ახალი საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა. დღეისათვის არსებული ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურები მათი არსებული და დაგეგმილი განვითარების პერსპექტივებით სრულად აკმაყოფილებენ საქართველოში არსებულ და მოსალოდნელ ტვირთნაკადებს“.**

თუ რამდენად აკმაყოფილებს მიღებული პასუხი ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის შეკითხვებს, ამის შეფასება თქვენთვის მოგვინდია, პატივცემულო მკითხველო, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ვეცდებით პასუხები დამოუკიდებელი ექსპერტებისგანაც მივიღოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

## მეტიჩარა ტყუილი...

# მე შარი არ მინდოდა...

**კინოფილმ „შერეკილების“ ერთი პერსონაჟისა არ იყოს, ეტყობა, არც უფალ დავით არაბიძეს არ ასვენებს გამჩენი. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი არაბიძე ჩემს პატარა რეპლიკა-წერილს გაუღიზიანებია სათაურით — „ნებისმიერი ფობია ფაშიზმისკენ მიმავალი გზაა“ (ამ ცოტა ხნის წინათ დაიბეჭდა ამავე გაზეთში), რომლითაც ვამუნათებდი მავანთა „ჭკვიანურ“ ინიციატივას, რუსი მწერლების ქუჩასკვერ-ძეგლების გაუქმების პარალელურად მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის სახელობის ქუჩებისთვის შესაბამისად, ცხინვალისა და ახალგორის სახელის დარქმევის შესახებ.**

ასეთი ქმედებები კი არა, ამ მიმართებით ფიქრიც კი, XXI საუკუნეში, განათლებული საზოგადოებისთვის ულირსობად მიმაჩნია და ამიტომ ვუწოდე ასეთ განზრახვას კრეტინიზმ-დებილიზმ-დაუნიზმი. იქვე ვწერდი, რომ ამ ინიციატივის ავტორი რომელიღაც ვითომ არასამთავრობო ორგანიზაცია ყოფილა, რომლის ერთ-ერთი წამყვანი წევრიც ბატონი არაბიძეც ბრძანებულა.

არ ვიცი, ჩემ მიერ წერილში დასახელებული ჭკუასუსტობის დამადასტურებელი სამი ავადმყოფობიდან საკუთარი თავი რომელს მიაკუთვნა დავით არაბიძემ. ის კი გავიგე, რომ აღშფოთების გამოსახატავად გაზეთის რედაქციაში მოსულა, სადაც, სამწუხაროდ, ვერ დავხვდი და ამიტომ ჩემს კოლეგებს გაუციათ მისთვის საკადრისი პასუხი. საერთოდ არ მჩვევია არაბიძისნაირებთან პოლემიკა, მაგრამ ამჯერად გამონაკლისის სახით პატივს მივაგებ, რადგანაც ბატონ არაბიძეს რედაქციაში ჩემი მისამართით ნასროლი მუქარის შემცველი სიტყვების — ვინ არის ეს მხეიძე, სად არის, ერთი მაჩვენეთო, შემდეგ ჩემს გასანათლებლად და საკუთარი პერსონის სიდიდის დასტურად, მედიდურად დაუყრია მაგიდაზე ორი გაზეთი და ამდენივე დოკუმენტი — წაიკითხოს მაგ უტვინო (გულში იფიქრა ალბათ ასე, თორემ...) მხეიძემ და გაიგოს ვინ და რა ვარო.

გაზეთების რა მოგახსენოთ, როგორც კი გადავშალე ის გვერდი, რომელსაც ერთი აშკარად ქედმაღლური სიტყვა-მიმართვა „მხეიძეს!!!“ ეწერა, სათაურიდანვე მივხვდი, რომ „სააკაშვილის 50-დღიანი სიღარიბის დამძლევი პროგრამა“, რა ჰქონდა არაბიძეს მხედველობაში. ანუ, რა მაგარი ვარ, მიშას ვაკრიტიკებო. ამიტომ არც კი წამიკითხავს. აი, რაც შეეხება იმ ორ დოკუმენტს, შინაარსით რა მოგახსენოთ — პირველში დემაგოგიაა ძეგლებისა და ქუჩების აღება-გადარქმევის შესახებ, მეორეს კი, რადგან, ჩემი აზრით, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი მგონია, სრულად მოვიყვან:

**„ბატონებო! საქართველოს დედაქალაქში აუცილებლად უნდა იდგეს XIX საუკუნეში რუსულ დესპოტიასა და იმპერიულ ექსპანსიასთან უკომპრომისოდ მებრძოლი ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის ძეგლი. ჩვენი კავშირის აზრით, ახალი თაობის აღზრდა უნდა ხდებოდეს რუსეთის იმპერიის მარწუხებისგან საქართველოს გამოხსნისათვის მებრძოლი გმირების მაგალითზე. განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ამაშუკელი“.**

სწორედ ეს, „არასამთავრობო“ ორგანიზაციის დასახელების გაგება იყო ჩემთვის მთავარი. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ. მანამდე კი, მკითხველის ნებართვით პირადად მივმართავ უფალ დავით არაბიძეს.

ბატონო დავით! იქიდან გამომდინარე, რომ საგაზეთო პუბლიკაციები დაგიტოვებიათ ჩემს „გასანათლებლად“, ჯერ ერთი, მადლობელი გახლავართ ზრუნვისთვის, მაგრამ ეს არ არის მთავარი. რადგან გაზეთებში წერთ თქვენს მარგალიტებს, გამოდის, რომ ჟურნალისტიკაზე რაღაც წარმოდგენა უნდა გქონდეთ, რომლის ერთი დაუწერელი თუ დაწერილი კანონი ის გახლავთ, რომ თუ მავანს რაიმე პრეტენზია აქვს პრესაში გამოქვეყნებულ მასალაზე, ის გაზეთი ვალდებულია იმავე მოცულობის ფართი დაუთმოს იმას, ვისზედაც არის პუბლიკაციაში საუბარი. ანუ თქვენ შეგეძლოთ, გესარგებლად ამ წესით და ჩემს წერილზე წერილით გეპასუხათ. და არა ისე, როგორც თქვენ მოიქეცით — ლამის ქველბიჭურად მოვარდით რედაქციაში ჩემთვის „საქმის გასარჩევად“.

ახლა მთავარი: ქუჩების გადარქმევაზე აღარ „გავვრცელდები“, ერთ რამეს დავძენ მხოლოდ. თქვენი ლოგიკით რუსებმაც შეიძლება იგივე ჩაიდინონ. მაგალითად, მოსკოვში „მალაია გრუზინსკაიას“ — სამხრეთ ოსეთის, ხოლო „ბოლშაია გრუზინსკაიას“ აფხაზეთის ქუჩები დაარქვან. მაგრამ ასეთ სისულელეს აგრესორი რუსებიც კი არ ჩაიდენენ. ისედაც თავმოჭრილები, ზედმეტ ტალახს აღარ ესვრიან საკუთარ თავს. ეგეც არ იყოს, თქვენი და თქვენნაირების იაფი პოპულისტური განცხადებებით საფრთხეს ხომ არ ვუქმნით ისედაც შევიწროებულ ქართველებს რუსეთში, რომელთა რიცხვი მილიონს აჭარბებს?.

ხომ არ აჯობებდა თქვენი „არასამთავრობო“ ორგანიზაციის ამბიციური დასახელებიდან გამომდინარე, ეროვნული განათლების სისტემის მოშლაზე გევიშვიშათ და არა ალექსანდრე ბატონიშვილის ძეგლის დადგმის აუცილებლობაზე? სხვათა შორის, ჩემი და, იმედია, თქვენი პატრიოტული აღზრდაც გოგებაშვილის დედაენით დაიწყო. დღეს დაწყებითი განათლების სახელმძღვანელოს „ყასისად“ აწერია, გოგებაშვილის დედა ენის მიხედვითო, თორემ რეალურად იმდენი საერთო აქვს „აი-იას“ გენიალურობასთან, რამდენიც თქვენ — ჟურნალისტიკასთან. აღარაფერს ვიტყვი უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის ნგრევაზე.

ისე, თუ მაინცდამაინც გმირების მაგალითებზე (და ამაში გეთანხმებითძ უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა, ისეთი გმირიც ბევრი გვყავს, რომელთა მიმართ არავითარი კითხვის ნიშნები არ არსებობს, რაც ალექსანდრე ბატონიშვილთან საკმარისზე მეტიც არის, რომელთაგან უმთავრესი ერთია — ხომ არ იყო ამ ტრაგიკული პიროვნების ბრძოლა, პირველ რიგში, სამეფო ტახტის (დღევანდელი გაგებით, სკამისძ შენარჩუნებისთვის ისევე, როგორც გუშინ ცხინვალის ომი ხელისუფლების შენარჩუნებისათვის? ერთი რამ ცხადია, მაშინაც და ახლაც ეს უაზრო, აუარებელ მსხვერპლად, მოსახლეობის აწიოკება-გაუპატიურებად დაუჯდა საქართველოს.

რუსეთის ოკუპაციის მუზეუმის არ იყოს, როცა გაჰკივით თბილისის საკრებულოსთვის მიმართვაში: რუსეთის მარწუხებისგან გამოხსნისთვის მებრძოლი გმირების მაგალითზე აღიზარდოს მომავალი თაობაო, რომაელებიდან მოყოლებული, სხვა დამპყრობლების მარწუხებმა, ვიდრე ირანოსმალეთამდე, რა „დაგიშავათ?!.

ეგეც არ იყოს, სად ერეკლეო... მართლა და მართლა, რა უნდა ალექსანდრეს ძეგლს თბილისში? არ ჯობია, თელავის საკრებულოს მიმართოთ, რათა იქ დავდგათ საქართველოში „უპირველესი“ გმირის ქანდაკება და იცით სად? მამამისის, ძეგლის მაგივრად. ცნობილი ამბავია, რომ პატარა კახს სიცოცხლეშივე შერისხული ჰყავდა ალექსანდრე. ამით ხომ ორ საქმეს ერთად გავაკეთებთ? მოვიშორებთ პრორუსი, როგორც დღეს არის მოდაში, კრემლის აგენტი ერეკლე II-ს ძეგლს და მის ადგილზე რუსოფობი ბატონიშვილის მონუმენტს წამოვჭიმავთ, რომლის ფობია მაშინ რამდენადაც გასაგები იყო, იმდენად გაუგებარი და მიუღებელია დღეს. რუსეთის უბრალოდ ხსენებაც კი თქვენისთანებისგან გვეკრძალება, თუ გვინდა, რომ კრემლის აგენტები არ გავხდეთ. ჰოდა, იმ საწყალმა ერეკლე II ახსენა კი არა, გიორგიევსკის ტრაქტატს მოაწერა ხელი და მართლაც სირცხვილია მაგის ძეგლის არსებობა საქართველოში.

**როგორი პატივიც დაიმსახურა ჩემგან უფალმა დავით არაბიძემ, იმ პატივისცემით**

**დავით მხეიძე.**

პროტესტი

# მინდა მუსიე სარკოზის ვკითხო

**მართლაცდა ვკითხოთ ერთი ჩვენი ქვეყნისთვის თავგამოდებულ მუსიე პრეზიდენტს, რა მოაქვს ჩვენი ხალხისთვის დასავლეთის მიერ დაჟინებით შემოთავაზებულ კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან პროგრამას?** ვფიქრობ, თვალნათლივაა დასანახი, რომ ამგვარ პროგრამას გადაშენებისკენ მიჰყავს ჩვენი ერი. იმის მტკიცებას როდი დავუწყებ მუსიე სარკოზის, რომ დემოკრატია და მშვიდობა ცუდი რამ არის. რა თქმა უნდა, არა! რა სჯობს მშვიდობას, ჩვენო ბატონებო, მაგრამ... საკითხავია, რატომ მაინცდამაინც მხოლოდ ჩვენ გვიქადაგებენ მშვიდობას და არა აგრესორების მიერ ზურგმომაგრებულ ოსებსა და აფხაზებს? ევროპელთა ეს მშვიდობიანი და სანაქებო პროგრამა ოსებსა და აფხაზებს არ ეხება? მაგათ ავტომატები ხელში, ჩვენ კი ვარდები? თუ კი აფხაზებმა და ოსებმა, რომელთა უკან კბილებამდე შეიარაღებული რუსები დგანან, დღეში თითო კაცი მოგვიკლეს, ყოველდღიურად თითო ძროხა, ღორი თუ ცხვარი წაგვართვეს, ყოველდღე სახლები თუ გადაგვიწვეს, ხომ მიგვიყვანს ეს კატასტროფამდე? გვიშველის მერე განადგურებულ ერს ეუთოსა და გაეროს მიერ ნაკარნახევი მშვიდობა?!

პუტინი თუკი შევიდა ჩეჩნეთში (როგორი მეთოდებით, ეგ სხვა საუბრის თემაა) წესრიგის დასამყარებლად (ვითომძ, რატომ საქართველოს სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თავისივე ტერიტორიები, ანკლავებად ქცეული რეგიონები გაწმინდოს მარადიორ-ბანდიტებისაგან?

გამოდის, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროგრამის მუხლების მოთხოვნები მხოლოდ ქართველებმა უნდა შეასრულონ და არა ოსებმა და აფხაზებმა. მათ ყოველდღიურად პროვოკაციები უნდა მოგვიწყონ, ჩვენ კი გულზე ხელები უნდა დავიკრიფოთ.



ვინ გააგებინებს ჩემს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქის, აღშფოთებას მუსიე სარკოზის?

არც არავინ, სამწუხაროდ!

**ანზორ გვარამია,**
**მწერალი**

„ჩაშვება“

# ტანკები შენ, ჯიპები მეთ?..

**უკრაინული იარაღის საქართველოსათვის მიწოდების ისტორიაში ახალი დეტალები გამოჩნდა. ყოფილა ასეთი დეპუტატი უკრაინის უმაღლეს რადაში — ვალერი კონოვალიუკი, პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ოპოზიციონერი. სწორედ იმას განუცხადებია ამ დღეებში, თითქოს ქართული არმიის შეიარაღებისას იუშჩენკო მეგობრისა და სვინა საакაშვილისგან ძვირფას საჩუქრებს იღებდა.**



მაგალითად „ჩამშვები“ ასახელებს ორ ჯიპს „ლენდ როვერს“, თითოეული 100 ათას დოლარზე მეტი ღირებულებისა. კონოვალიუკის მონაცემებით ავტომობილები პრეზიდენტს მიებოძა იაფად გაყიდული იარაღის საკომპენსაციოდ, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ. ეგ კია, რომ დიდხანს ჯიპები სახელმწიფო ბიუჯეტზე არ ირიცხებოდნენ და უკრაინის მეთაურის ახლობლები დააქროლებდნენო, ამტკიცებს ოპოზიციონერი. თითქოს მხოლოდ ახლა, როცა იარაღით უკანონო მომარაგებასთან დაკავშირებით სკანდალი აგორდა, ავტომობილები სასწრაფოდ დაუკანონებიათ, როგორც იუშჩენკოს ადმინისტრაციის კუთვნილება.

— ჩვენი საპარლამენტო კომისია ამჟამად შეისწავლის ყველა არსებულ დოკუმენტს და გამოძიების შედეგებსა და მთელ მტკიცებულებებს სულ მალე გამოვამზეურებთო, — უამბნია კონოვალიუკს „კომსომოლსკაია პრავდისთვის“.

..ეს ყველაფერი თუ მართლა ასეა, ჩნდება ფიქრები, ცხადია. ჯერ ერთი, ამ ძვირადღირებულ ჯიპებს ვისი „გარაჟიდან“ გასცემდა საქართველოს პრეზიდენტი? მეორეც, ეგ ჩვენი ჩაუთვლელი მტერი „კომსომოლკა“ რომ ასე გულმოდგინედ იჩხრიკება საქართველოს შეიარაღების საკითხებში — რუსეთი რომ აფხაზ და ოს სეპარატისტებს უხვად აიარაღებდა და აიარაღებს, მეტიც, თავისი ჯარისკაცებით რომ იმათ მხარეს იბრძოდა და იბრძვის, ამაზე ხმას რატომ არ იღებს? რა, აფხაზეთიდან თუ ცხინვალის რეგიონიდან პუტინს, მედვედევს, ან რუსეთის სამხედრო „ელიტარებს“ საჩუქრები ვითომ არ მისდიოდათ და არ მისდით? შენი სამართალი რა ვთქვი, უსამართლო გაზეთო! პირში ყოველივე ამის რუსულად მოხლის საშუალება რომ მომცემოდა, ცოტა არ შევრცხვებოდა, ნეტავი?..

**თამაზ ეზანოიძე**

# იური მუხინი - რუსეთი დღეს

## წიგნიდან – „სტალინის მკვლელები“

### აშშ

**კარგად მესმის, რომ ბევრ ჩვენგანს ენაზე ადგას გამზადებული პასუხი — რუსეთს მართავენ ამერიკის შეერთებული შტატები და ებრაელთა მასონები.**

პასუხი, პრინციპში, საბოლოო შედეგის გათვალისწინებით — სწორია. მაგრამ უშუალოდ ისინი მართავენ რუსეთს?

დიახ, რუსეთი ფაქტობრივად ამერიკის კოლონიაა, მაგრამ მართავენ რუსეთს ამერიკელი ჩინოვნიკები? აკეთებენ ისინი რუსეთში სიტუაციის ანალიზებს? განიხილავენ რუსეთის ოლქებიდან მომდინარე ინფორმაციებს და იღებენ რაიმე ბრძანებულებებით გაფორმებულ გადაწყვეტილებებს? აძალებენ ელცინსა და პუტინს ამ ბრძანებულებების ხელმოწერას? არა, ასეთი ადამიანები არ არსებობენ, რადგანაც უცხოეთიდან ქვეყნის მართვა იმათგან შეუმჩნევლად, ვისაც მართავ, ძალიან ძნელი საქმეა.

თქვენ ფიქრობთ, რომ ამერიკელები აყენებენ სტრატეგიულ ამოცანებს, ხოლო ელცინი და პუტინი მათ ასრულებენ. საბოლოოდ, ეს მოსაზრება სწორია, მაგრამ, ჯერ ერთი, არც ელცინს, არც პუტინს არ შეუძლიათ გადაწყვიტონ ეს სტრატეგიული ამოცანები, რადგან არ იციან და არც მართავენ რუსეთს.

მეორე მხრივ, რაც მთავარია, ამერიკელებს არც სჭირდებათ ასეთი სტრატეგიული ამოცანების დაყენება, რამდენადაც რუსი ქურდებისთვის ამერიკა ისედაც მეორე სამშობლოა, სადაც გაიქცევიან, როცა რუსეთში ცხოვრება მათთვის უკვე ზედმეტი ბარგი იქნება. ვიმეორებ, ისინი, ვინც რუსეთს ვითომ მართავენ, სინამდვილეში ანგრევენ მას, ანგრევენ შეგნებულად, რომ რუსეთმა ბოლოს ვერაფერი დააკლოს და გაუბედოს ახალ სამშობლოს — დასავლეთს. შემთხვევით კი არ ასწავლის პუტინი თავის ქალიშვილებს გერმანიის საელჩოს სკოლაში!!!

დამეთანხმებით, როცა კაცი ქალს იმორჩილებს, ის ტრაბახობს, რომ გაიმარჯვა. მაგრამ, თუ ამ ქალს თავად სურდა დამორჩილებოდა, მაშინ ვინ არის გამარჯვებული?

დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირის დამარცხებაზე ლაპარაკი იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ თავად მმართველ „ელიტას“ არ სურს ეს დამარცხება. მაგრამ თუ ელიტას თავად უნდოდა ეს დამარცხება, მაშინ



ვინ გამოდის საბჭოთა კავშირის დაშლაში გამარჯვებული — დასავლეთი თუ საბჭოთა კავშირის მმართველი ფენა?

იხ. 8 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 216.

ინფორმაცია

### ჩვენი საგარეო ვალი ჩვენი შვილების გადასახდელია

**საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა, მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 2 მლრდ 493 მლნ 724 ათას აშშ დოლარს შეადგენს.**

**როგორც ფინანსთა სამინისტროდან იტყობინებიან, საქართველოს ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალის ნაშთი 516 მლნ 803 ათასი აშშ დოლარია, მათ შორის - ავსტრია — 1,481 ათასი აშშ დოლარი; აზერბაიჯანი — 14,427 ათასი აშშ დოლარი; თურქმენეთი — 1,611 ათასი აშშ დოლარი; თურქეთი — 41,841 ათასი აშშ დოლარი; ირანი — 11,319 ათასი აშშ დოლარი; რუსეთი — 119,988 ათასი აშშ დოლარი; სომხეთი — 17,420 ათასი აშშ დოლარი; უზბეკეთი - 378 ათასი აშშ დოლარი; უკრაინა — 345 ათასი აშშ დოლარი; ყაზახეთი — 27,774 ათასი აშშ დოლარი; ჩინეთი — 4, 385 ათასი აშშ დოლარი; გერმანია — 158,041 ათასი აშშ დოლარი; იაპონია — 54, 224 ათასი აშშ დოლარი; ქუვეითი — 13,953 ათასი აშშ დოლარი; ნიდერლანდები — 10,540 ათასი აშშ დოლარი; აშშ — 39,077 ათასი დოლარი; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ევრობონდები — 500 000 ათასი აშშ დოლარი.**

**საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ვალი კი, 1 მლრდ 466 მლნ 374 ათას დოლარია.**

### მსოფლიო ბანკი კვლავ დაგვეხმარება

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი საქართველოში მსოფლიო ბანკის მისიის ხელმძღვანელს როი სიუზვორსის და მსოფლიო ბანკის ინფრასტრუქტურის მთავარ სპეციალისტს თამარ სულუხიას შეხვდა.**

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსთვის მსოფლიო ბანკის პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის ფონდიდან გამოყოფილი გრანტის პრიორიტეტები. ასევე, საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დაზარალებულთა განსახლების კრიტერიუმებს და დევნილთა ინფორმირებას ითვალისწინებს.**

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის კობა სუბელიანის განმარტებით, მსოფლიო ბანკი იმ დონორ ორგანიზაციათა შორის არის, რომელმაც ბრიუსელში საქართველოს დახმარება ლიად დააფიქსირა.**

**— მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი გრანტით, პირველ რიგში, რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულებს დავეხმარებით. შემდეგ კი აფხაზეთიდან დევნილებს მივხედავთ, — აღნიშნა მინისტრმა.**

ინტერპრესნიუსი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროპა უკან იხევს

**რუსეთს მიმდინარე წლის აგვისტოში სულ რაღაც რამდენიმე დღე დასჭირდა რომ, აეძულებინა საქართველოს არმია, უკან დახეულიყო. ევროპამ შემდგომში ოდნავ უფრო მეტხანს გაძლო, ვიდრე თბილისის ჯარებმა.**

პარასკევს ევროკავშირის ლიდერებმა განაცხადეს მოსკოვთან მოლაპარაკების განახლების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. ეს მოლაპარაკება გაყინული იყო ათი კვირის წინათ რუსეთის შეჭრის გამო ერთი ციცქნა მეზობლის ტერიტორიაზე, აგრეთვე მის უარზე, შეესრულებინა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების პირობები, რაც დაიდო საფრანგეთის შუამავლობით. მაგრამ პარასკევისთვის, როდესაც ნიცაში გაიმართა რუსეთ-ევროკავშირის სამიტი, მოსკოვის მიერ „თავისი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულება“ საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ეტყობა სარკოზიმ რუსეთის ჯარების დაბრუნება იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ ომის დაწყებამდე 7 აგვისტოს, უმნიშვნელოდ ჩათვალა.

ამრიგად, დასრულდა ის ერთადერთი სანქცია, რომელიც ევროპამ შემოიღო თავისი მებრძოლი მეზობლის წინააღმდეგ აგვისტოს ომის შემდეგ. მხარეები დაუბრუნდნენ მოლაპარაკებას, ქართველები კი ძველებურად ელოდებიან რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაპირებულ გაყვანას ომამდელ პოზიციებზე. რიცხოვნობით გაცილებით დიდი რუსეთის ჯარები რჩებიან სეპარატისტულ რეგიონებში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომელთა დამოუკიდებლობაც აღიარეს მხოლოდ რუსეთმა და ნიკარაგუამ.

ამ დროს ათეულ-ათასობით ქართველს ძველებურად არ შეუძლია დაუბრუნდეს თავის სახლებს, რომლებიც არიან როგორც კონფლიქტის ზონაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ევროკავშირისა და სხვა დასავლელი ორგანიზაციების მეთვალყურეები ძველებურად ვერ ახერხებენ, შევიდნენ ომის შედეგად დაზარალებულ რაიონებში. მათ ამ დღეებში მოხსენებაც კი წარმოადგინეს ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდა აფხაზეთში, როდესაც მათი მიმართულებით გაიხსნა ცეცხლი.

ჟენევაში დაგეგმილია რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდი. მაგრამ, ვინაიდან ევროპამ დაიწყო უკან სვლა, მოსკოვი არავითარ ზეგავლენას აღარ იგრძნობს და მას აღარ ექნება კომპრომისზე წასვლის აუცილებლობა თბილისთან. ეს რაუნდი შეიძლება დამთავრდეს დაწყების უმალვე, როგორც ეს მოხდა ოქტომბერში მოლაპარაკების პირველი სერიის დროს.

მაგრამ კიდევ უფრო უარესია ის დასკვნები, რომლებიც მოჰყავს სარკოზის, რომლის ქვეყანაც წარმოადგენს ევროკავშირს. სარკოზიმ 7 ნოემბერს აღნიშნა, რომ მოლაპარაკება არ შეჩერებულა, იგი უბრალოდ „გადაიდო“.

ეს კი ნიშნავს, რომ მას და ევროკომისიის თავმჯდომარეს ჟოზე მანუელ ბაროზოს უფლება აქვთ, გარკვეული ვადით გადადონ ეს მოლაპარაკება.



ბაროზომ უგულებელყო ევროკავშირის ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან ლიტვა და პოლონეთი. იქნებ პოლონელებსა და ბალტიის ქვეყნებს აქვთ უკეთესი იდეები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცნენ რუსეთთან ურთიერთობაში. რაც შეგვეხება ჩვენ, ვიხსენებთ აგვისტოს საუბარს ერთ-ერთ ამერიკელ დიპლომატთან რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ ომის შემდეგ. იმის ნაცვლად, რომ დაეგმოთ რუსეთის პოლიტიკური და საქმიანი ელიტა იმ მომენტში, როდესაც ის გამარჯვებას ზეიმობს, ამას განა არ აჯობებდა მიგველო ისეთი მყარი ზომები, რომლებიც აგრძნობინებდა რუსეთს, რომ მას ყველაფერი არ უნდა გაუვიდეს, აღნიშნა ერთ-ერთმა დიპლომატმა ამასთან დაკავშირებით.

THE WALL STREET JOURNAL

# ხასიათების შეჯახება

**ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებამდე ყველასთვის ცხადი იყო, რომ ვლადიმერ პუტინი ვერ იტანდა საქართველოს პროამერიკულად განწყობილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, თანაც ვერ იტანდა არა მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით, არამედ პიროვნულადაც.**

ამ დღეებში ნათელი გახდა, თუ რამდენად ღრმა არის პიროვნული ზიზღი. გაირკვა, პუტინი იმუქრებოდა, რომ ჩამოკიდებდა სააკაშვილს „კვერცხებით“. ეს მოხდა აგვისტოში რუსეთის პრემიერის საფრანგეთის პრეზიდენტთან ნიკოლა სარკოზისთან საუბრის დროს მოსკოვში, სადაც ეს უკანასკნელი ჩაფრინდა მოლაპარაკებისთვის შუამავლის როლში.

რუსული ტანკები მაშინ სულ ახლოს იყვნენ საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან. სარკოზიმ შენიშნა, რომ არ შეიძლება საქართველოს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ჩამოგდება, მაგრამ სარკოზის ერთ-ერთი თანაშემწის ჟან-დავიდ ლევიტის სიტყვებით, პუტინს ეს სრულიადაც არ ენაღვლება. მან პირდაპირ ასე უპასუხა: „მე სააკაშვილს ჩამოვკიდებ კვერცხებით“.

რატომ ვერ იტანს ის მას? აგვისტოს ბოლოს, კონფლიქტის დამთავრებისთანავე, სააკაშვილმა მიამბო თავისი უკანასკნელი შეხვედრის შესახებ პუტინთან, რომელიც გაიმართა ერთი წლით ადრე, სანამ კავკასიური ომი დამთავრდებოდა ასე არასასიამოვნოდ.

სააკაშვილმა მიამბო, რომ დაიჩივლა პუტინთან რუსეთის გავლენის გაძლიერების შესახებ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და აცნობა მას იმ მხარდაჭერის შესახებ, რასაც განიცდიდა დასავლეთში.

პუტინმა მოკლედ და მკაფიოდ უპასუხა. სააკაშვილის სიტყვებით, პუტინმა ურჩია მას, თავიდან მოეშოროს დასავლეთის მხარდაჭერა (ნათქვამი იყო გაცილებით უკმეხად და უზრდელადძ. ამას გარდა საქართველოს პრეზიდენტის პირადი თანაშემწეები ადასტურებენ, რომ ორი ლიდერის პიროვნული ზიზღი გახდა ერთ-ერთი მიზეზი აგვისტოს კონფლიქტისა.

ერთ-ერთი მათგანის სიტყვებით, რუსეთის თავდასხმა საქართველოზე განხორციელდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიზნით და მისი პროდასავლური რეჟიმის ჩამოგდებით, მაგრამ არანაკლებ უფრო მნიშვნელოვანი მიზანი იყო თავად მიშა; ერთ-ერთმა თანაშემწემ პირდაპირაც კი თქვა: „პუტინს ეჯავრება მიშა. ძალიან ეჯავრება“.

რასაკვირველია, შეიძლება მოიძებნოს პუტინის მოულოდნელი აფეთქებების სხვა განმარტებანიც. რუსეთში, რასაკვირველია, მას არავინ არ აკრიტიკებს; თავის ერთ-ერთ პირველ ღონისძიებად მან აკრძალა ერთ-ერთი პოპულარული სატელევიზიო გადაცემა. კრემლი აკონტროლებს ყველა საერთო სახელმწიფო ტელეარხს, რის შედეგადაც ოპოზიცია არასოდეს არ ჩანს ტელეეკრანებზე. პოლიტიკური სატირის ჟანრი რუსეთში პრაქტიკულად უცნობია, ხოლო პოლიტიკური თემატიკის მულტფილმების ავტორებისთვის ცხოვრება ძალიან მძიმე გახდა.

„ევროკავშირი-რუსეთის“ სამიტზე, რომელიც ივნისში გაიმართა ციმბირში, მე ვკითხე ევროკავშირის სახელმწიფოს ერთ-ერთ მეთაურს იმის შესახებ, აქვს თუ არა პუტინს იუმორის გრძნობა. „დიახ“, — იყო პასუხი“. მაგრამ მისი იუმორი ძალიან მკაცრია. მას ესმის მხოლოდ ისეთი ხუმრობები, რომლებიც ვინმე სხვას შეეხება“.

კეთილი და იმპულსური სააკაშვილი კი სრულიად საპირისპირო პიროვნებაა, ვიდრე მისი კოლეგა, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ცივი და უგრძნობელი ექს-პოლკოვნიკი. ომის დაწყებამდე საქართველოს ლიდერი დასცინოდა პუტინის რეჟიმს ყოველ ხელსაყრელ მომენტში. ერთ-ერთი მეთვალყურის აზრით, იმის შეგრძნება გვქონდა, რომ მას სურდა ასულიყო რომელიმე მაღალ მწვერვალზე და იქიდან ეჩვენებინა რუსეთისთვის შიშველი უკანალი. ამტკიცებენ, რომ პუტინი განსაკუთრებით მაშინ გაბრაზდა, როდესაც სააკაშვილმა მას „ლილიპუტინი უწოდა“, მხედველობაში ჰქონდა რა მისი სიმაღლე. რას იზამ, არაფერია გასაოცარი, რომ პუტინმა მოინდომა თავისი ქართველი მტრის ერთი ადგილით ჩამოკიდება.

**ლიუკ ჰარდინგი**

Guardian

# იური მუხინი - რუსეთი დღეს

(მეშვიდე გვერდიდან)

## პრობლემა: დასცხე ებრაელებს...

**თქვენ იქნებ იკითხოთ: „რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ქურდავს სახელმწიფოს? ჩვეულებრივი ცხოველები თუ საიდუმლო მაფიის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ცხოველები?“**

დიახ, მართლაც, ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ქურდობს ქვეყანაში. ყოველგვარი პროგნოზის გარეშე ისინი (ეს მასებიძ მოითხოვენ, რომ ყველანი (სახელმწიფოს სათავეში მყოფნი პრეზიდენტიდან — ჩუბაისამდეძ უნდა ჩამოახრჩონ!

პროგნოზის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიცოდეთ, ვინ არის რუსეთის ჭეშმარიტი ხელმძღვანელი.

ჭეშმარიტი ხელმძღვანელი (და არა დასავლეთის მიერ დანიშნული, რომელიც ნაქურდალი ფულით არის დაკავშირებული დასავლეთთანძ უცნობია რუსეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც. ისინი, ეს ხელმძღვანელები, თავისუფალი არიან მორალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, და ამიტომ შეუძლიათ, საითაც უნდათ, იქითკენ შეატრიალონ რუსეთი და მისი ისტორია (თუ მოინდომეს, ხვალ ზიუგანოვი იქნება ქვეყნის სათავეში!ძ მაგრამ ეს არ მოხდება მანამ, ვიდრე არ დადგება ამის საჭიროება, ვიდრე პარტიულ მაფიას ხელს აძლევს ის მდგომარეობა, რომელიც დღეს არის.

ამრიგად, თუ რუსეთის ოფიციალური ხელმძღვანელები მორჩილად თავს უხრიან აშშ-ს, რეალურ ხელმძღვანელობას შეუძლია ბევრი უსიამოვნება მიაყენოს იმავე სუპერსახელმწიფოს. რატომ?

დააყენეთ თქვენი თავი ქურდების ადგილზე და სცადეთ გამოსავლის ძებნა — რა უნდა გაკეთდეს?

რუსეთში დღეს თუ ხვალ შეიძლება დაიწყოს მასობრივი ჩეჩნეთი — ე.ი. შურისძიება. ე.ი. რუსეთში ცხოვრება თანდათან ძნელი და აუტანელი გახდება ქურდებისთვის, რომლებსაც არ უშველით მოსკოვის გარშემო ჯავშნიანი კედლებით გამაგრებული „გეტოები“. დაცვა ხომ თავში თუ არა ბოლოში შეუერთდება აჯანყებულ ხალხს.

მაშასადამე, უნდა გაიქცეთ დასავლეთში, სადაც თქვენი შვილები უკვე ცხოვრობენ, სწავლობენ და ა.შ. მაგრამ დასავლეთი მოითხოვს, რომ შენ დარჩე რუსეთში და ხალხის ყვლეფით გადაიხადო დასავლეთის მიერ გაცემული დახმარების კრედიტების პროცენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთი თავისი ბანკებიდან ამოიღებს თქვენს კუთვნილ (სინამდვილეში ნაქურდალძ ფულს, ხოლო თქვენ პირადად დაგაპატიმრებენ. რუსეთის ყველა ქურდისთვის დადგება ახალი ბოროდინო.

მაშ, სად არის გამოსავალი?

ვარიანტები ბევრი არ არის. მე პირადად ვხედავ ერთადერთ ვარიანტს.

## დასცხე ებრაელებს, გადაარჩინე ქურდები!

**ერთადერთი ვარიანტია ის, რომ შენ, ქურდი, უნდა გახდე პოლიტიკური დევნილი. მაშინ დასავლეთი არ მოგკითხავს, საიდან გაქვს ამდენი ფული, რადგან ის ფული უკვე არასოდეს არ დაბრუნდება რუსეთში, ის მუდამ დასავლეთში იტრიალებს. მაგრამ რუსეთში ჯერ არ დამდგარა პოლიტიკური დევნილობის დრო.**

მაშ, რა უნდა ქნა იმ დრომდე? კვლავ ერთადერთი გამოსავალია — უნდა ვილაცას „შეაწერო“ მასობრივი ქურდობისთვის პასუხისმგებლობა. კერძოდ, ვის?

რა თქმა უნდა, — ებრაელებს. ეს რამდენადმე სამართლიანიც იქნება და დიდი უსამართლობაც.

დააკვირდით, რუსეთში ასეულ ათასობით კომერციული დაწესებულება და 300 ბანკია, რომლებიც ყვლეფდენ რუსეთს. ამ დაწესებულებებს ფლობენ და მართავენ რუსებიც, თათრებიც და ღმერთმა უწყის, ვინ არა.

მაგრამ თუ ვინმეს სთხოვთ, დაასახელოს ყველაზე საეჭვო და ცნობილი ბიზნესმენები, მაშინვე დაგისახელებენ მხოლოდ ებრაელებს — ბერეზოვსკებს, გუსინსკებს, აბრამოვიჩებს, ხოდორკოვსკებს და ა.შ., იმიტომ რომ სწორედ მათ აჩვენებენ სატელევიზიო გადაცემებში, სწორედ მხოლოდ მათზე წერს პრესა.

თვალს აგიხელენ და გეტყვიან, რომ თქვენი ანაზრების მიმტაცებლის — გაიდარის დედა ებრაელი ყოფილა, რომ ქურდი ჩუბაისი — ებრაელი ყოფილა, რომ კირიენკოც კი ებრაელია.

ასე მიიმართება და ფოკუსირდება ხალხის ენერგია და სიძულვილი ებრაელთა მიმართ.

რუსეთი გახდება ნამდვილი საფრთხობელა ებრაელებისთვის, ხოლო მთელი არაებრაელი ქურდების მასა დევნილების სახელით ბედნიერად იცხოვრებს დასავლეთში.

მოამზადა
**ომარ ჩიტაიამ.**

თარიღი

# თვალსაჩინო კომპოზიტორი, მომხიბვლელი პიროვნება

## ოთარ გორდელი–80

**თვალსაჩინო კომპოზიტორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ოთარ გორდელს (1928-1994) 80 წელი შეუსრულდებოდა.**

მე, როგორც მის თანაკლასელსა და მეგობარს, მსურს გავუზიარო მკითხველს სევდანარევი მოგონებები ამ ნიჭიერი კომპოზიტორისა და მომხიბლავი პიროვნების შესახებ, მოკლედ გავადევნო თვალი მის ცხოვრებასა და შემოქმედებით გზას.

ოთარი დაიბადა მაღალკულტურულ ოჯახში (დედამისი, ქალბატონი ნადია ბუზოღლი თბილისის კონსერვატორიის პროფესორი იყოძ, სწავლობდა შესანიშნავ პედაგოგებთან: პროფ. იონა ტუსკიასთან (კომპოზიცია) და პროფ. ანასტასია ვირსალაძესთან (ფორტეპიანოძ. თბილისში სწავლის დამთავრების შემდეგ გაიარა ასპირანტურის კურსი მოსკოვის კონსერვატორიაში პროფ. სერგეი ბოგატირიოვის ხელმძღვანელობით.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1959ძ მუშაობას იწყებს თბილისის კონსერვატორიაში, სადაც ასწავლის პოლიფონიის საგანს (პროფესორიძ. პარალელურად, იგი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ოცი წლის მანძილზე (1967-1987ძ სათავეში ედგა საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებას, ხოლო 1968-73 წლებში იყო კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, დიდი ხნის მანძილზე ზ. ფალიაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორი გახლდათ.



შემოქმედებითი მოღვაწეობა ოთარმა თბილისის კონსერვატორიაში სწავლების დროს დაიწყო. მახსოვს მისი პირველი საკომპოზიტორო ცდები – საფორტეპიანო პიესები, რომელთაც თვითონ ასრულებდა.

1949 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, იგი ქმნის დიდი ფორმის ნაწარმოებს – საფორტეპიანო კვინტეტს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მხატვრული მიმზიდველობა. მომდევნო წლებში შექმნა სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებსაც მსმენელთა მოწონება ხვდათ წილად. მათ შორის გამოირჩევა კონცერტები ფორტეპიანოსათვის (1952ძ და, განსაკუთრებით, ფლეიტისათვის (1958ძ, რომელიც ცნობილი ფლეიტისტებისა და პედაგოგიურ რეპერტუარშიც შევიდა. მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ვოკალურ-სიმფონიური პოემა („რაზედ ბუტბუტებს მტკვარი", „ახალგაზრდული უვერტიურა"ძ ორკესტრისათვის. გორდელს ეკუთვნის აგრეთვე ორი ოპერეტა, პოპულარული „ვალსი" და „ქართული" სიმფონიური ორკესტრისათვის, საესტრადო სიმღერები („გუშინ სიზმარი ვნახე" და სხვ. ძ და ა.შ.

ოთარ გორდელი შესანიშნავი პიროვნული თვისებებით გამოირჩეოდა. იგი კეთილმოსურნე, გულღია, ღიმილიანი კაცი გახლდათ, მასთან ურთიერთობა მუდამ ძალზე სასიამოვნო და სახალისო იყო.

ასეთად დარჩა იგი ჩემს მეხსიერებაში.

ო.გორდელის სახელი ჩაწერილია ქართული მუსიკის მატიანეში.

**გულბათ ტორაძე**

ჯილდო

# წახალისების ახალი ჰორიზონტი

**მრავალი წლის სიგრძეზე ჩვენი გაზეთი სისტემატურად იუწყებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის (სმეა) მიერ დაწესებული გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების თაობაზე.** სულ ბოლო ხანს მეცნიერებისათვის მზრუნველი და ღირსეული ქველმოქმედის წყალობით არამცთუ არსებითად გაიზარდა საპრემიო თანხები, არამედ თვით სახელობითი პრემიების რაოდენობაც: არსებულ 16-ს მთელი 26 მიემატა!

დაპირებისამებრ მკითხველს ვთავაზობთ ახალი პრემიების ნუსხას, რომელთაგან ივანე ჯავახიშვილის სახელობისა 5 000-ლარიანია, დანარჩენები – 3 000-ლარიანი (ძველი პრემიებიდან პეტრე მელიქიშვილისა და ნიკოლოზ მუსხელიშვილის პრემიები, აგრეთვე 5 000-ლარიანი გახდა, სხვები – 3000-იანიძ.

**ევგენი ხარაძის** სახელობის პრემია დაწესებულია 2007 წლიდან და მიენიჭა ფიზიკისა და ასტროფიზიკის დარგებში. ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პრემია წლევანდელი წლიდან დაწესდა.



**ივანე ჯავახიშვილისა** – საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ფილოლოგიის დარგებში; **გიორგი ჩუბინიშვილისა** – ხელოვნებათმცოდნეობა; **გიორგი ახვლედიანისა** – ზოგადი და ინდოევროპული ენათმეცნიერება; **აკაკი შანიძისა** – ქართული ენა და ქართული ფილოლოგია; **ზაზა ფანასკერტელისა** – მედიცინა, მედიცინის ისტორია; **ალექსანდრე ნათიშვილისა** – ადამიანის ანატომია, მორფოლოგია, ფიზიოლოგია და პათოლოგია; **გრიგოლ მუხაძისა** – ქირურგია; **ნიკოლოზ კეცხოველისა** – ბოტანიკა; **ვარლამ თოფურიასი** – ენათმეცნიერება, ქართველური ენები; **ფილიპე გოგიჩაიშვილისა** – ეკონომიკა; **შალვა ნუცუბიძისა** – ფილოსოფია; **დიმიტრი არაყიშვილისა** – ქართული მუსიკა; **კონსტანტინე გამსახურდიასი** – ქართული მწერლობა; **კირიაკ ზავრიევისა** – სამშენებლო მექანიკა; **სიმონ ყაუხჩიშვილისა** – კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტისტიკა; **გიორგი ჩიტაიასი** და **ვერა ბარდაველიძისა** – საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგია; **ნიკოლოზ ბერძენიშვილისა** – საქართველოს ისტორია; **ექვთიმე თაყაიშვილისა** – ისტორია, არქეოლოგია, წყაროთმცოდნეობა და ხელოვნება; **გიორგი ნიორაძისა** – არქეოლოგია; **გალაკტიონ ტაბიძისა** – პოეზია; **ანა კალანდაძისა** – პოეზია; **ვახუშტი ბაგრატიონისა** – გეოგრაფია; **თინათინ წერეთლისა** – სამართალმცოდნეობა; **გიორგი მელიქიშვილისა** – ძველი ისტორია; **მიხეილ ნოდიასი** – გეოფიზიკა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ყოველწლიურად მიენიჭება 10 საააკადემიო სახელობითი პრემია; რიგითობას წლის დასაწყისში განსაზღვრავს აკადემიის აკადემიური საბჭო, რაც „სრ"-ის ფურცლებზე ქვეყნდება. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: როგორც ცნობილია, ქართველი მწერლებისათვის შემოღებულია რამდენიმე გამოსარჩევი ჯილდო-პრემია. ახლა იმათ წინაშე ახალი „საპრემიო" ასპარეზი გადაიშალა გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ანა კალანდაძის საააკადემიო სახელობითი პრემიების სახით (სამივენი აკადემიკოსები გახლდნენძ.

**თამაზ ეზანოიძე.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: თუ შესაძლებელია, გვაცნობეთ, ვისზე წესდება მეურვეობა და რა შემთხვევაში?**

**ლენა ცინცაძე**

**პასუხი:** აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია 7 წლის ასაკისათვის, ან პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო.

* * *

**კითხვა: მეზობლის ბავშვი უდედმამოდ დარჩა და მინდა დავეხმარო. ვის ეკისრება არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა?**

**მამია ბილიხოძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, არასრულწლოვანი პირის მეურვეობა და მზრუნველობა ეკისრება განათლების ადგილობრივ ორგანოს.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება?**

**ამირან აბულაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, სამეურვეო (სამზრუნველოძ პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, არის თუ არა დაწესებული რაიმე თანხა მეურვის, მზრუნველის მოვალეობის შესრულებისათვის და კანონის თანახმად, როგორია მათი უფლება-მოვალეობანი?**

**ნოდარ ონაშვილი**

**პასუხი:** მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან, იზრუნონ სამეურვეო (სამზრუნველოძ პირის რჩენისათვის, შეუქმნან მას აუცილებელი ყოფითი პირობები, უზრუნველყონ მოვლითა და მკურნალობით, დაიცვან მისი უფლებები და ინტერესები. კანონის თანახმად, მეურვისა და მზრუნველის მოვალეობები უსასყიდლოდ სრულდება.

* * *

**კითხვა: რა რაოდენობის თანხა უნდა მიმეღო ნოემბერში ასაკით დანიშნული ძირითადი პენსიის სახით ?**

**ქეთევან გოკიელი**

**პასუხი:** თქვენი ნოემბრის თვის პენსიის ძირითადი ოდენობა უნდა იყოს 70 ლარი, რომელზედაც უნდა დაგერიცხოდათ დანამატი სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ასე, მაგალითად, თუ 25 წლის ან მეტი სტაჟი გაქვთ, დაგერიცხებათ 10 ლარი და სულ 80 ლარი გეკუთვნით. პენსიის ოდენობაში რაიმე ცვლილება მიმდინარე წლის ნოემბრიდან არ მომხდარა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

ინფორმაცია

## საწარმოებისათვის გაზის ფასი გაიზარდა

**– საქართველოს** საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციისთვის" (სსეკ) "გაზპრომისა" და „სოკარისგან" შესასყიდი გაზის ფასი გაიზარდა, – განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნათია თურნავამ.

მისივე განმარტებით, შესაბამისად, ნოემბრის შუა რიცხვებიდან გაზის ღირებულება გაიზარდა იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც კორპორაცია ბუნებრივ აირს აწვდის.

გაზის გაძვირება დოლართან მიმართებაში ლარის კურსის დაცემას უკავშირდება.

რაც შეეხება „ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან" შესასყიდ გაზს, რომელიც მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი (ე.წ. სოციალური გაზი), მისი ღირებულება არ გაზრდილა, იმის მიუხედავად, რომ გაზის შესყიდვა ლარებში ხდება.

ამასთან ერთად, საქართველოს ენერგობაზარზე ახალი კომპანია – „კაპიტალ ინვესტი" გამოჩნდა.

როგორც „იტერა-საქართველოს" გენერალური დირექტორის მოადგილემ ირაკლი ნიკოლაიშვილმა განაცხადა, „იტერა" "კაპიტალ ინვესტისგან" გაზს ყიდულობს, თავად კომპანია კი ბუნებრივი აირის შესყიდვას, არსებული ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან ახორციელებს.

ირაკლი ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, „იტერა-საქართველო" გაზს რუსული „იტერასგანაც" ყიდულობს.

რაც შეეხება გაზის შესასყიდ ფასს, ის 1000 კუბ.მ-ზე 260-დან 284 დოლარამდე გაიზარდა. ამის გარდა, მოხდა ლარის კურსის დაცემა დოლართან მიმართებაში, რის გამოც „იტერა-საქართველომ" საწარმოებს გაზის ტარიფი გაუძვირა.

## რატომ არ გვაჭერინებენ ქაფშიას?

**ფოთელ** მეთევზეებს საზღვაო ადმინისტრაცია აფერხებს.

როგორც სეინერების მეპატრონეები აცხადებენ, ადმინისტრაცია მიზეზად მცურავი საშუალებების ტექნიკურ გაუმართაობას ასახელებს.

მეთევზეების თქმით, 26-ვე ქართულ სეინერს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და ქაფშიის მოსაპოვებლად სრულ მზადყოფნაშია.

ამასთან, გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ ორი დღის წინათ თევზჭერის ნებართვა ფოთში თავად გადასცა.

საზღვაო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ სეინერების მეპატრონეებს გარკვეული ვადა ჰქონდათ თევზჭერის სეზონამდე სეინერების სარემონტოდ. მეთევზეები კი საზღვაო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს პაატა იმნაიშვილს ბიუროკრატიზმში ადანაშაულებენ.

ქაფშიის სეზონი შავ ზღვაში პირველ ნოემბერს დაიწყო. ქართული სეინერები კი ამ დრომდე კვლავ უმოქმედოდ არიან.

ინტერპრესნიუსი

ფეხბურთი

# ემზადებიან



**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს 19 წლის ფეხბურთელთა ნაკრები 22 ნოემბრიდან კვიპროსზე ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს გამართავს.** ამ შეჯიბრებისთვის ზაურ სვანაძის შეგირდები ამჟამად იტალიაში ემზადებიან. პირველი ტესტმატჩი ჩვენმა ფეხბურთელებმა ტოსკანის რეგიონულ ახალგაზრდულ ნაკრებს 2:0 მოუგეს, მეორე შეხვედრაში კი „ემპოლის" მეორე გუნდს სძლის – 1:0. გოლი თემურ შონიამ გაიტანა.

საქართველოს ნაკრები კვიპროსზე 19 ნოემბერს ჩავა, 22 ნოემბერს კი ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს დანიის გუნდთან გამართავს.

# დღეს ბუქარესტში

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები დღეს ბუქარესტში რუმინეთის გუნდთან ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს. ქართველთა არგენტინელი მწვრთნელი ექტორ კუპერი ხმამაღლა აცხადებს, რომ 19 ნოემბერს ფეხბურთელებს მოედანზე მოსაგებად გაიყვანს.**

სუმო



## ნოემბრის ბაშო – უარყოფითი ბალანსით

**ახალგაზრდა ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე (ტოჩი-ნოშინი) ნოემბრის ბაშოზე მეცხრე დღეს დიდ ჩემპიონთან, მონღოლ ჰაკუჰოსთანაც დამარცხდა და უარყოფითი ბალანსით დაამთავრებს შეჯიბრებას.**

საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა ლევან ცაგურიამ (კოკაი), რომელმაც „კეთილშობილ მთასთან" (მიაბიამა) მესამე მარცხი იგემა. 9 დღის შემდეგ 8-8 გამარჯვებით სწორედ ჰაკუჰო და მიაბიამა ლიდერობენ.

პლაჟბურთი

## რეიტინგში დაწინაურდნენ

**დამთავრდა პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურის წლევანდელი გათამაშება. საქართველოს წარმომადგენლებმა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიუმჯობესეს სარეიტინგო მდგომარეობა.** ქალებში საქა-რთველომ 3020 ქულით მე-14 ადგილზე დაასრულა სეზონი, თან 62850 დოლარი გამოიმუშავა. ვაჟებში გეორ-გია 3420 ქულით მეთორმეტეა, პრემიალურიც ქალებზე მეტი ხვდათ – 106407 დოლარი.

პლაჟბურთელთა მსოფლიო ტური გაისად აპრილში დაიწყება.



ჭადრაკი

# ლიდერებს კვალში უდგანან

**დრეზდენში მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადაზე მეხუთე ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. საქართველოს ქალთა ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. პირველ დაფაზე ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ შავი ღლე აყარა რუსთა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონს ალექსანდრა კოსტენიუკს, რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა. ქართველმა დიდოსტატმა მეათე სვლაზე ეტლის შეწირვით მიღებული უპირატესობა სასურველ შედეგამდე მიიყვანა.**

მოგების კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ მაია ლომინეიშვილსა და ლელა ჯავახიშვილს, მაგრამ ეღუპილში გამარჯვების გზებს ვერ მიაგნეს და ყაიმებს დასჯერდნენ ტატიანა და ნადეჟდა კორინცევებთან, სოფიკო ხუხაშვილი კი დამარცხდა. საბოლოოდ შეხვედრა ფრედ – 2:2 დამთავრდა.



**ლიდერთა დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგები ასეთია:** პოლონეთი – ჩინეთი 0,5:3,5, გერმანია – საბერძნეთი 3,5:1,5, უნგრეთი – ინდოეთი 2,5:1,5, ესპანეთი – რუმინეთი – 1,5:2,5.

ხუთი ტურის შემდეგ 10 ქულით ერთპიროვნულად ჩინეთის ნაკრები ლიდერობს. ქულით ნაკლები აქვს უნგრეთს. 8-8 ქულით რუსეთი, რუმინეთი, საქართველო, ნიდერლანდები, სომხეთი, უკრაინა, პოლონეთი, ინგლისი, ამერიკა, უზბეკეთი და ავსტრია მესამე-მეცამეტე ადგილებს იყოფენ.

ლიდერებს კვალში ჩაუდგა საქართველოს ვაჟთა ნაკრებიც, რომელმაც მეხუთე ტურში სლოვაკთა გუნდს სძლია 2,5:1,5. პირველ დაფაზე სერგეი მოვსესიანი და ბაადურ ჯობავა დაზავდნენ. ზვიად იზორიამ ლიუბომირ ფტაჩნიკს აჯობა, მიხეილ მჭედლიშვილმა და ლევან ფანცულაიამ ქულები გაიყვეს მეტოქეებთან. სომხებმა ნიდერლანდელებს მოუგეს – 2,5:1,5, უკრაინელებმა ასეთივე ანგარიშით უნგრელები დაამარცხეს, ხოლო ინგლისელებმა – იტალიელები. ინდოეთმა ავსტრიას დააყრევინა ფარხმალი – 3:1, აზერბაიჯანელებმა – ნორვეგიელებს (3:1), გერმანია და რუსეთი კი დაზავდნენ – 2:2.

ხუთი ტურის შემდეგ 9-9 ქულით რუსეთი, სომხეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, უკრაინა და ინგლისი მეწინავეობენ. 10 გუნდს, მათ შორის საქართველოს, 8-8 ქულა აქვს.

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ. დღეს მეექვსე ტურში ითამაშებენ: **ქალები. უნგრეთი – ჩინეთი, საქართველო – პოლონეთი, ავსტრია – რუსეთი, რუმინეთი – ამერიკა, უზბეკეთი – ნიდერლანდები, სომხეთი – უკრაინა, ინგლისი – ბულგარეთი; ვაჟები. საქართველო – ჩინეთი, რუსეთი – ინგლისი, უკრაინა – გერმანია, აზერბაიჯანი – სომხეთი, საფრანგეთი – პოლონეთი.**

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## „ხანდაზმული" რეკორდიც დაემხო

**როგორც უკვე გაცნობეთ, „მოკლე წყალზე" ცურვაში მსოფლიო თასის გათამაშებამ სტოკჰოლმიდან ბერლინში გადაინაცვლა.**

გერმანიის დედაქალაქში გამართული მე-7 ეტაპი სამი მსოფლიო რეკორდით დაგვირგვინდა.

ავსტრალიელმა მარიკე გიურერმა თავი ისახელა 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. მისი შედეგია 24,99 წამი. ამერიკელმა რენდელ ბოლმა კი ყველა დაჯაბნა 50 მეტრის გულაღმა გადალახვაში – 22,87.

არ ვიცით, დაეხმარა თუ არა „მშობლიური კედლები" გერმანელ პაულ ბიდერმანს, მაგრამ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მას ტოლი არ ჰყავდა – 1,40.83. აბა, შეადარეთ, როგორ გააუმჯობესა მან ადრინდელი რეკორდი – 1,41.10 – რომელიც მთელი რვა წლის განმავლობაში ეკუთვნოდა ავსტრალიელ იენ ტორპს.



## მაყურებლები აღაფრთოვანა

**20 ათასზე მეტი მაყურებელი აღაფრთოვანა მოსკოვის სპორტულ კომპლექსში „ოლიმპიური" გამართულმა შოუზე ფრისტაილ-მოტოკროსის ოსტატების ასპარეზობამ. აქ საგანგებოდ ააგეს ტრასა მოტოციკლეტებით ხტომა-ტრიუკებისთვის. მასში კი რუსეთელებთან ერთად მონაწილეობდნენ შვედეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან ჩამოსული სპორტსმენები.**



ორდღიანი ასპარეზობის შედეგად გაიმარჯვა ესპანელმა დენი ტორესმა. მისი ერთ-ერთი დაუჯერებელი ტრიუკი იყო ბეკ-ფლიპი 360 გრადუსით, სალტო უკან, იმავდროულად 360 გრადუსით გვერდზე ტრიალით, რამაც ტრიბუნები მქუხარე ტაშით „ააფეთქა".

მეორე ადგილი წილად ხვდა ამერიკელ მაიკ მეისონს, მესამე ადგილზე კი შოუში მონაწილე ერთი რუსეთელი ალექსი კოლესნიკოვი გამოვიდა.

ორდღიან შოუზე ერთადერთი მცირე ტრავმა მიიღო ფრანგმა შარლ პაჟესმა, რისთვისაც ის სამახსოვრო თასით დააჯილდოვეს.

## ვინ გამოირჩეოდა ბრწყინვალე ასპარეზობით?



**„სეზონში ყველაზე ბრწყინვალე გამოსვლისთვის" – ასეთია მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი ნომინაცია, რომელშიც გამარჯვების კანდიდატები ოფიციალურად გამოქვეყნდა. აი, ისინიც: იამაიკელი უსეინ ბოლტი, ეთიოპელები ჰაილე გებრესელესიე და ტირუნეშ დიბაბა, ჩეხი ბარბორა შპოტაკოვა და რუსეთელი ელენა ისინბაევა.**

ყველაზე დასამახსოვრებელ გამოსვლებად IAAF-ის ოფიციალურ საიტზე მოწყობილი გამოკითხვის მიხედვით „სპორტის დედოფლის" სახეობებში მიიჩნიეს: ბოლტის ორი მსოფლიო რეკორდი 100 და 200 მეტრზე სირბილში. გებრესილასიეს მსოფლიო რეკორდი მარათონში (2.03,59), დიბაბამ 5 წამით გააუმჯობესა 5000 მეტრზე ადრინდელი რეკორდი, შპოტაკოვამ კი ადრინდელ რეკორდზე 58 სანტიმეტრით უფრო შორს სტყორცნა შუბი. და ბოლოს, ელენა ისინბაევამ პეკინში ჭოკით ხტომაში დაამყარა 24-ე მსოფლიო რეკორდი – 5,05.

ნომინაციაში „წლის გამოსვლა" იბრძოლებენ – **კაცები:** კენენისა ბეკელე (ეთიოპია), დაირონ რობლესი (კუბა), ირვინგ სალადინო (პანამა), სამუელ ვანჯირუ (კენია), ლაშონ მერიტი (აშშ), აბუბექარ კაკი (სუდანი), ზერსენაი ტადესე (ერითრია), ბრაიან კლეი (აშშ), ანჯელო ჯეილორი (აშშ) და იამაიკის ნაკრები ესტაფეტაში 4X100. **ქალები:** ჰამელა ჯელიმო (კენია), თია ელებო (ბელგია), ვერონიკა კამპელ-ბრაუნი (იამაიკა), გულნარა გალკინა-სამიტოვა (რუსეთი), შელი-ენ ფრეიზერი (იამაიკა), მელანი უოკერი (იამაიკა), სუზანა კალური (შვედეთი), ფრანსუაზა მბანგო (კამერუნი), ლორნა კიპლაგატი (ჰოლანდია) და ოლგა კანისკინი (რუსეთი).

შეგახსენებთ, რომ ნომინაციებში გამარჯვებულები გამოცხადდება 23 ნოემბერს მონაკოში ტრადიციულ გალა-საღამოზე.

## მოდი და, ნუ გადაირევი!

**მთელ მსოფლიოში ცნობილი ქალთა თეთრეულის დამამზადებელი კომპანია Victoria' Sacret, რომლის ნაწარმს რეკლამას უწევენ პლანეტის პირველი ლამაზმანები.**

ბოლო ჩვენებაზე, რომელიც მაიამში გაიმართა, პოდიუმზე ქათქათა თეთრეულით და ფარფატა ფრთებით გამოვიდა ჰაიდი კლუმი, „მემფისის" სერბი კალათბურთელის მარკო იარიჩის საცოლე, ადრიანა ლიმა და ორლანდო ბლუმის გულისვარდი მირანდა კერი.

როდესაც მარკო იარიჩი ქულებს აგროვებდა თავისი გუნდისთვის, მისი საცოლე, ერთგული კათოლიკე, გათხოვებამდე სექსზე რომ უარს ამბობს, პოდიუმზე ძალზე შილიფად და მომხიბვლელად დასეირნობდა ცნობილ ამერიკელ სუპერ-შოუმენ აშერთან ერთად.



რაც მთავარია, ადრიანას ეცვა ყველაზე ძვირფასი თეთრეული, რომლის ფასი 5 მილიონი დოლარია. ნუ გაგიკვირდებათ! მისი ლიფი ხომ მორთულია შავი და თეთრი ბრილიანტებითა და ლალის თვლებით, საგანგებოდ იუველირმა მარტინ კატცმა რომ დაამზადა. ეს კომპლექტი გინესის წიგნში თუ არა, კომპანიის კატალოგში აუცილებლად შევა.

## გამრუდებული სამართალი

# ბიუჯეტის შევსების უახლესი მეთოდი

**ეკონომიკური გაჭირვება არა მხოლოდ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ადგას, არამედ ხალხის ამ ყოფაში ჩამგდებ ხელისუფლებასაც. პიარ-კამპანიებზე, არჩევნებზე, მივლინებებზე და სხვა და სხვა არაფრისმომცემ ღონისძიებაზე ათეულობით მილიონი ლარი იხარჯება. ბიუჯეტი შაგრენის ტყავივით იკვეცება. გარდაუვალი ხდება მისი შევსება. მდგომარეობის გამოსწორების უნარი და სურვილი ხელისუფლებას არ გააჩნია, ამის გამო დანაკლისის შევსებას საკუთარი ხალხის ხარჯზე ცდილობს, ერთ-ერთი გზა ჯარიმებია.**

### „მოპარული“ ტელეფონები

**არც ისე დიდი ხნის წინათ სამართალდამცავებმა და მაკონტროლებელმა სტრუქტურებმა ერთობლივი ღონისძიებები ჩაატარეს მობილური ტელეფონების ქურდების, მათი ხელის დამცლელებისა და შუამავლების გამოსავლენად.** ქვეყნის მასშტაბით ათასობით მოპარული ტელეფონი დაფიქსირდა. ისინი ძირითადად ლომბარდებსა და მობილური ტელეფონების გასაყიდ მაღაზიებსა თუ ჯიხურებში, ბაზრობებზე იყიდებოდა. ამის გამო დასახელებულ ობიექტებს აეკრძალათ მობილურების ყუთის გარეშე მიღება-გაყიდვა. ამგვარი ქმედება პირველად სერიოზული ჯარიმით, განმეორებით შემთხვევაში კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯება. მკაცრი მიდგომის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო მობილური ტელეფონების ქურდობის, გატაცების და ა. შ. ფაქტებმა. მაგრამ მწვავე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ხელისუფლებამ სამართალდამცავებსა და მაკონტროლებლებს ამ საკითხისადმი მიბრუნება დაავალეს, ოღონდ იმ კუთხით, რომ გამოევლინათ ფაქტები, დაეჯარიმებინათ „მარკეტები“, მაღაზიები, ჯიხურები, ინდგამყიდველები.

**ნათელა თხილაიშვილი, კომერციულის გამყიდველი, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა მისი მაღაზიის დასახელებისგან თავი შეგვეკავებინა:** „ორიოდე დღის წინათ მაღაზიაში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. მომსახურე პერსონალს სთხოვა, ტელეფონი დამიჯდა და თუ შეიძლება დამატენინეთო. მას დამტენიც თან ჰქონდა. უარს ვინ ეტყოდა. ტელეფონი შეაერთა, მოგვიბოდიშა და გვითხრა, რომ არ შეგაწუხოთ, დატენვას გარეთ დაველოდებიო. ტელეფონი დაიტენა, კიდევ ნახევარი საათი გავიდა. პატრონი არ ჩანდა. მოულოდნელად მაღაზიას ესტუმრნენ პოლიცია და საგადასახადო. მიზეზიც აგვიხსნეს – უნდა შევამოწმოთ, მოპარულ მობილურებს ხომ არ ყიდითო. მათ დახლები არც კი დაუთვალიერებიათ, პირდაპირ დასატენად ჩართულ ტელეფონს მიადგნენ. მოითხოვეს ყუთი, რასაკვირველია, არ გვქონდა. სასწრაფოდ საჯარიმო ოქმი შეგვიდგინეს. რადგან მაღაზიისთვის ეს პირველი შემთხვევა იყო, 200-ლარიანი ჯარიმით შემოიფარგლნენ. „უპატრონო“ ტელეფონი წაიღეს და წავიდნენ. ჩვენთვის პატრონად გაცნობილი კაცი საერთოდ აღარ გამოჩენილა: ეს იყო პოლიციის აგენტი. ასეთი მეთოდებით ფულის შოვნა განა კაცობაა?“

### 50-თეთრიანი „ჩეკი“ 500 ლარი ჯდება

**თავის დროზე საკასო აპარატების სავალდებულო დამონტაჟების იდეამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იყო საპროტესტო გაფიცვები, აქციები. მოვაჭრეები ერთხმად აცხადებდნენ, რომ აპარატი მათთვის ფულის გამოძალვის ახალი გზა გახდებოდა.** ჯერ ერთი, აპარატი მოვაჭრეს საკუთარი ხარჯებით უნდა შეეძინა. მეორეც ის, რომ წვრილმან საგნებზე, პროდუქტზე ქვითრის ამორტყმა მოვაჭრესათვის წამგებიანი იქნებოდა ეკონომიკურადაც (ქვითრის ქაღალდი ძვირადღირებულია) და დროის თვალსაზრისითაც (რიგები, კლიენტის დაკარგვა და ა. შ.). ამის გამო მაკონტროლებელ ორგანოებს იაფი ღირებულების საქონელზე სალაროს ქვითრის გაცემაზე კონტროლი თითქმის აპარატების აუცილებლობის შესახებ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დღიდან აღარ განუხორციელებიათ. მაგრამ დადგა საბიუჯეტო კრიზისი...

**იამზე ხველელიძე, გამყიდველი, რომელიც მისი მაღაზიისთვის მორიგი უსიამოვნების აცილების მიზნით, თავს იკავებს კომერციულის ადგილმდებარეობის დასახელებისგან:** „მაღაზიაში კაცი შემოვიდა. დახლზე დალაგებულ ნამცხვარს ხელი დასტაცა, იქვე დააგდო ღირებულების თანხა (50 თეთრი) და გარეთ გავიდა. რამდენიმე წუთში იგი საგადასახადოს ხალხთან ერთად დაბრუნდა. „ჩეკის“ გამოუწერლობისათვის 500 ლარით დაგვაჯარიმეს. ამის გამო მეპატრონემ შეიძლება გამაგდოს“.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

### თავდასხმა ჩვენს თანამემამულეზე

**მოსკოვში ორმა უცნობმა პირმა ეროვნებით ქართველს ცეცხლი გაუხსნა.**

**ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსს“ სამართალდამცავი ორგანოებიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა.**

**დანაშაული 17 ნოემბერს, 11:15 საათზე მოხდა. გიორგი ცერცვაძეს ორმა უცნობმა საკუთარი სახლის სადარბაზოსთან გაუხსნა ცეცხლი და „შკოდას“ მარკის ავტომობილით მიიმალა. დაზარალებული კრიტიკულ მდგომარეობაში ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**გიორგი ცერცვაძე მოსკოვში საქართველოს საელჩოს ყოფილი მრჩეველი იყო.**

**ინტერპრესნიუსი**



**შვილები თამარ, ნანა ხიზანიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ქეთევან (ცაცაძ ხუციშვილი**

**პანაშვიდი 20, 21 XI, 16 სთ. დაკრძალვა 22 XI, 14 სთ. მის. გრიბოედოვის №12.**

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „ციცხვი-92“-ის დირექცია ვატყობინებთ ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, რომ 2008 წლის 18 დეკემბერს გაიმართება სს „ციცხვი-92“-ის საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი, წარმოებისათვის 2009 წლის 1 იანვრიდან შპს „ციცხვი-92“-ის დარქმევის შესახებ, მისი სტატუსის შეცვლის გამო.**

***კრება გაიმართება დღის 12 საათზე.***

***მისამართი: მცხეთის რაიონი, სოფ. ქსანი.***

**მომხსენებელი: სს „ციცხვი-92“-ის პრეზიდენტი ა. ზოზირაშვილი.**

## იყიდება

**ორხევში 2,9 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი შენობა საერთო ფართით 2064 კვმ და 1500 კვმ-ის დამხმარე სათავსოები. შენობები და მიწის ნაკვეთი გატარებულია საჯარო რეესტრში, როგორც კერძო საკუთრება. გამოდგება ნებისმიერი სამეწარმეო, სამრეწველო, სასწავლო ან სხვა სახის კომერციული საქმიანობისათვის.**

**ტელ: 899 16-60-08, 877 50-25-11, 899 91-68-05.**

**FOR SALE**

In Orkhevi 4 story building located on 2,9 hectares of land plot with the total size 2064 sqm and 1500 sqm of auxiliary store-rooms. Buildings and land plot are registered in the Public Register as private property. It is applicable for any entrepreneurial, industrial, educational or other type of commercial activity.

TEL: 899 16-60-08, 877 50-25-11, 899 91-68-05.

## ხსოვნა

# აკაკი გელაძის გამოსათხოვარი



**მშვიდობით, ძმაო! შენ სხვათაგან გამორჩეული იყავი ნიჭიერებით, მრავალფეროვნებით, შემოქმედებითი წვით. შენებური კვალი დააჩნიე ქართულ პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, თარგმანს. რამდენი რამ მოასწარი, რამდენი დატოვე და ახლა სავალალო ის არის, რომ სიკვდილმა ხელიდან გაგაგდებინა კალამი, რომელსაც კიდევ ბევრის შექმნა შეეძლო. რამდენი რამ გქონდა ჩაფიქრებული, რამდენ პიესას, რომანს, ლექსს თუ მოთხრობას შეუჩერდა დაბადება, რამდენი რამ დააკლდა ქართველ მკითხველს, თეატრს, მაყურებელს.**

**მაკვირვებდა შენი ჭირთათმენა, მეორე მსოფლიო ომში რამდენ თანამოსაგრეს დაუხუჭე თვალები, რამდენმა აფეთქებამ მოგაყარა მიწა, მაგრამ გადარჩი! ალბათ იმისათვის, რომ მათ მაგივრად გემოღვაწა, მათ მაგივრად გეშრომა, ვინც ვერ დაბრუნდა რუსეთისა თუ უკრაინის, ბელორუსიისა თუ ბალტიისპირეთის ფრონტებიდან, ვინც ძმათა სასაფლაოებზე დარჩნენ გრანიტისა თუ მარმარილოს ძეგლებად.**

**მუხთალი წუთისოფელი ომიდან ჩამოსულსაც მოგწვდა, ცალფეხზე შემდგარი ჯერ დის ტრაგიკულმა სიკვდილმა დაგზაფრა, მერე მეუღლის უეცარმა გარდაცვალებამ, მაგრამ გულით გაუტეხელი, სულით მაღალი, არ დაცემულხარ, კალმით ებრძოდი ავბედობას და ცდილობდი, ამით მიგეზღო სამაგიერო უბედურებისთვის.**

**მიკვირდა ისიც, თუ ბოროტებით მოშხამულმა ომმა როგორ შეგარჩინა სიკეთის ის მარგალიტები, რომლებსაც უშურველად უნაწილებდი როგორც საკუთარ ოჯახს, ისე იმ კოლექტივის წევრებს, სადაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით.**

**აი, გასრულდა წუთისოფელი შენთვის, ვალმოხდილი მიდიხარ, ნაჯაფარი და მელანშეუმშრალი, ცოცხალი დარჩნენ შენი „ყარამან ყანთელაძე“, „შვილო გოგია“, „მუზარდში ამოსული ყვავილი“ და შენი პიესების ის გმირები, ვისაც სული ჩაბერე, ისინი შენს მაგივრად ივლიან ქვეყანაზე და შთამომავლობას მოუყვებიან ვალმოხდილი, დაუღალავი შემოქმედის შესახებ.**

**ვალერიან მამუკელაშვილი**

# ზაზა კახაძე



**მართლაც დაუჯერებელია, მართლაც მოულოდნელია ზაზა კახაძის გარდაცვალება!.. ღიმილიანი, შემართული, სხვათათვის იმედისმიმცემი, უკვე ჩვენს შორის აღარ არის და გვიტოვებს სევდას, მოგონებებს თავის შესაშურ ადამიანურ თვისებებზე, ოჯახიშვილობაზე... არადა, ჯერ სად იყო, ჯერ მთელი ცხოვრება წინ ჰქონდა 55 წლის კაცს... ზაზა იყო შესანიშნავი ჟურნალისტი, მუშაობდა გაზეთ „ლელოში“, იყო „სახალხო განათლების“ რედაქტორი, 1993 წლიდან მუშაობდა პარლამენტის საგამომცემლო დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, ხოლო 2002 წლიდან დღემდე იყო გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი. ზაზა იყო კარგი ფეხბურთელი, 1971-1977 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოს“, რუსთავის „მეტალურგის“, თბილისის „სპარტაკის“ გუნდებში, იყო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი...**

**დიდხანს გვემახსოვრება მისი სამაგალითო კაცობა, ჭირსა და ლხინში თანადგომის სურვილი...**

**ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ზაზა!**

**გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომლები**

**გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამომცემლობის დირექტორი**

**ზაზა კახაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 19 XI, 16 სთ. გამოსვენება 20 XI, 14 სთ. მისამართი: დიდი დიღომი, III მკრ. VI კორ. III სად. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექტორი**

**ზაზა კახაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ ინსტიტუტის თანამშრომელს მზია როსტომაშვილს გარდაეცვალა**

**მამა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**რძალი დოდო უჩანეიშვილი, ძმისწულები მარინე, მანანა, თამაზ, ზურაბ ჭანტურიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი მამიდისა და უსათნოესი ქალბატონის**

**ალექსანდრა (შურაძ ჭანტურია-კუნელაურის**

**გარდაცვალებას და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.**

**საზოგადოება „რუსთაველების საპატიო თავმჯდომარე ანზორ შონია რუსთაველების სახელით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდებული პიროვნების, რუსთავის საპატიო მოქალაქის**

**ალექსანდრე ქირიას**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.**

◉ გვწერენ

# შუქის გათიშვა ჩვენთვის ომის დაწყების ტოლფასია



პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, მომცეთ იმის საშუალება, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით ხმა მივაწვდინო ჩვენს პრეზიდენტს და ჩემი და ბევრი ჩემნაირი თბილისელი ხელმოკლე, გაჭირვებული პენსიონერის თხოვნა-გასაჭირი გავაგებინო მას:

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ, დაგვეხმაროთ იმაში, რომ ჩამოგვაწერონ ელექტროენერგიის დავალიანება, რომლის გადახდის არანაირი საშუალება არა გვაქვს. როდესაც გადაუხდელობის გამო შუქს გვითიშავენ, ეს ჩვენთვის ომის დაწყების ტოლფასია.

თქვენი იმედით ვართ, ბატონო პრეზიდენტო!

ზოია მდინარაძე,
თბილისელი პენსიონერი.

◉ ინფორმაცია

## პირველად უკრაინაში დააგემოვნებენ

**აჭარაში ციტრუსის მოსავლის აღების სეზონი დაიწყო. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან იტყობინებიან, წლევანდელი სეზონის წარმატებით ჩატარების მიზნით, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელმა ბათუმში საკოორდინაციო შტაბი გახსნა.**

შტაბი 24 საათის განმავლობაში იმუშავებს, დაინტერესებულ პირებს, ფერმერებსა და ციტრუსის შესყიდვის მსურველებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

ციტრუსის პირველი პარტია ექსპორტზე უკრაინაში გაიგზავნა.

## ძმათა სასაფლაოს ათი უცნობი ჯარისკაცი შეემატა

**მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გუშინ აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპული კიდევ ათი სამხედრო მოსამსახურე დაკრძალეს.**

როგორც ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა მუჯირმა განუცხადა, გვამების გადაცემა მოლაპარაკებების შედეგად მოხდა, რომელშიც ქართული მხრიდან პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, ასევე, შიდა ქართლის სამ-





ხარეო პოლიციის უფროსი ვლადიმერ ჟუღელი მონაწილეობდნენ.

მუჯირის თქმით, ქართულმა მხარემ რუსულ მხარეს პილოტის გვამი გადასცა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოაჩინეს.

დაკრძალული სამხედრო მოსამსახურეების ვინაობა დადგენილი არ არის. მათ ვინაობას დნმ-ის ანალიზი დაადგენს.

## ხოფაში შვიდი ქართველი დაიღუპა

**საქართველო-თურქეთის საზღვრიდან 40 კილომეტრში ავტობუსი გადაბრუნდა, რომელშიც ქართველები იმყოფებოდნენ. წინასწარი ინფორმაციით, დაიღუპა შვიდი ადამიანი.**

თურქული კომპანია „მაჰმუდ ტურის“ კუთვნილი ავტობუსი მორიგ რეისს თბილისიდან სტამბოლის მიმართულებით ასრულებდა.

ავტოავარიის შედეგად სულ დაშავებულია 25 მგზავრი, რომლებიც ხოფისა და ართვინის საავადმყოფოებში არიან გადაყვანილი.

მგზავრებს, რომელთა ტრანსპორტირებაც შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ბათუმის საავადმყოფოებში გადმოიყვანენ.

აღნიშნული შემთხვევა ბოლო ორი წლის განმავლობაში „მაჰმუდ ტურის“ კუთვნილი ავტობუსისთვის უკვე მესამეა.

ინტერპრესნიუსი

◉ საჩხერის სიახლენი

## გაიხსნა ახალი სკოლა

**საჩხერის რაიონში იმერეთის გუბერნატორმა მიხეილ ჩოგოვაძემ სოფელ ცხომარეთში ახალი ორსართულიანი სკოლის შენობა გახსნა. სკოლის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა.**

გუშინ საჩხერის სოფელ არგვეთში ახალი წყალსადენი გახსნეს. ამ პროცესს იმერეთის გუბერნატორთან ერთად გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე სოსო ქუთათელაძე დაესწრო.

ინტერპრესნიუსი

## მომავალ აბიტურიენტთა და მათ მშობელთა საყურადღებოდ!

**ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ უნივერსიტეტში მიმდინარეობს**

იმ მეთორმეტე კლასის მოსწავლეთა საკვირაო სკოლაში მიღება, რომელთაც სურთ 2009-2010 სასწავლო წლისათვის მისაღები გამოცდებისა და საგნობრივი გასაუბრების გარეშე ჩაირიცხონ

ამ უნივერსიტეტის

საფინანსო-საბანკო და დაზღვევის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, ბიზნესის მართვისა და ორგანიზაციის, სამართალმცოდნეობის, ტურიზმისა და ჯანდაცვის ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, ჟურნალისტიკის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის და ინფორმატიკის სპეციალობების სტუდენტებად.

საკვირაო (წინასწარ მოსამზადებელ) სკოლაში (რომელსაც ექნება თავისი განყოფილებები, გარდა თბილისისა, ქალაქებში: რუსთავში, სენაკში, მცხეთაში, საგარეჯოში და სხვა ქალაქებში მოთხოვნის შესაბამისად) სწავლება დაიწყება 2009 წლის 1 მარტს და დამთავრდება 2009 წლის 1 ივლისს. ამ სკოლის ის კურსდამთავრებულები, რომელთაც ექნებათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს ისტორიასა და საქართველოს გეოგრაფიაში დამაკმაყოფილებელი და მეტი შეფასებანი, საშუალო განათლების ატესტატისა და I კურსზე სწავლის საფასურის (1500 ლარის) 25 პროცენტის (375 ლარის) წინასწარ გადახდის ქვითარი წარმოდგენილი, გამოცდებისა და საგნობრივი გასაუბრების გარეშე ჩაირიცხებიან მათთვის სასურველი სპეციალობის სტუდენტებად.

საკვირაო სკოლაში ჩარიცხვის სურვილის მქონემ რექტორატის სამდივნოს უნდა წარუდგინოს: განცხადება რექტორის სახელზე, ცნობა მეთორმეტე კლასში სწავლის თაობაზე, პირადობის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი (3X4-ზე), 375 ლარის გადახდის ქვითარი (ეს თანხა ავანსია I კურსზე სწავლის საფასურის წინასწარ გადახდისა), იგი აბიტურიენტს (სტუდენტს) ამ უნივერსიტეტში სწავლების გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში არ დაუბრუნდება (არ მიეცემა).

უნივერსიტეტში, იმათთვის, ვისაც ბაკალავრიატის დიპლომის მიღება სურთ, სწავლება ოთხწლიანია, ხოლო ვისაც მაგისტრანტისა ექვსწლიანი.

უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის რექტორატში. საკონტაქტო მისამართია: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, №45, VI სართული, რექტორატის სამდივნო.

უნივერსიტეტის რექტორატი

◉ კადრი



რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

საფინანსო კრიზისთან დაკავშირებით, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით, გვირაბის ბოლოს შუქი გამოირთვება.

* * *

— ქვირფასო, ბარგი შეკარი, გადავდივართ!
— ეუბნება ქმარი ცოლს.
— შენ რა, ახალი ბინა იყიდე?
— არა, ძველი წავაგე!



* * *

ოპტიმიზმი — ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა... ძისისა.

* * *

ასი გრამი რუსული არაყი მედიტაციის ტოლფასია, ნახევარი ლიტრის შემდეგ კი ყველაფერი იხსნება და მესამე თვალი ყველა ქალში მზეთუნახავს ხედავს.

* * *

ტიპმა დირექტორს განცხადება დაუწერა: იმასთან დაკავშირებით, რომ დავქორწინდი და ჩემი მოვალეობაა სტუდენტი ცოლის მომსახურება, გთხოვთ, მომიმატოთ ხელფასი.

განცხადებაზე შეფმა წააწერა:

1. საფინანსო კრიზისის გამო ხელფასის მომატებაზე უარი ეთქვას.

2. ახალგაზრდა ოჯახის მხარდაჭერის მიზნით ცოლქმრული მოვალეობის შესრულება დამევალოს მე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.